ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1908-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 17 (1391)

3 სექტემბერი, 1994 წ.

თვალსაზრისი

## საით მიგყავთ საქართველო, ბატონო შევარდნაძევ?

ლევან ხაინდრავა

ხუთი წლის წინ, ივლისის თვეში მოხდა ისეთი რამ, რასაც მსოფლიო ისტორიაში არც კი ეძებნება ანალოგი.

ქართულ მიწაზე, ქართულ ქალაქ სოხუმში საბჭოთა ხელისუფლების წაყრუებით, გარკვეულწილად ხელშეწყობითაც დაარბიეს მკვიდრი ქართული მოსახლეობა.

რა თქმა უნდა, ჩვენი უახლესი ისტორიის ეს ტრაგიკული ეპიზოდი ყველას ახსოვს, მაგრამ რაკი ჩვენთან არიან ამ ამბების მივიწყების მოსურნენი და ამიტომაც ისინი ზეპირ თუ წერილობით პუბლიკაციებში არც კი მოიხსენიებენ მათ, თავს ვალდებულად ვთვლი, მოკლედ გავიხსენო მაშინდელი ამბები.

საქართველოში ე.შევარდნაძის პირველი ხელისუფლების დროს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე ყოფნისას, იგი მკვეთრად ანტიქართულად განწყობილი ექსტრემისტი აფსუების უაზრო და ურიცხვი მოთხოვნების დაკმაყოფილება-წაქეზების პოლიტიკას მისდევდა (აფსუები ადიღეური წარმოშობის ტომებია, რომლებმაც გადმოლახეს კავკასიონის ქედი, დასახლდნენ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში და ქართული მიწის — აფხაზეთის სახელის მიხედვით დაერქვათ აფხაზები). სოხუმში დაარსდა აფხაზეთის უნივერსიტეტი და ტელეცენტრი, რომლებიც მთლიანად აფსუა (აფხაზი) ექსტრემისტების კონტროლს დაუქვემდებარეს.

სოხუმის ტელევიზიამ თავიდანვე ანტიქართული კამპანია გააჩაღა, რასაც გასავალი ჰქონდა არაცივილიზებულ ხალხში, რომელსაც არა აქვს მისი რელიგია და მე-20 საუკუნემდე არ ჰქონია დამწერლობა. ანბანი კი მათ სულ რამდენიმე ათეული წლის წინ შეუქმნეს ქართველმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა ს.ჯანაშიამ და ა.შანიძემ დ. გულიას მონაწილეობით.

მდგომარეობა აფხაზეთში იძაბებოდა, რასაც ფაქტიურად ხელს უწყობდა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა, რომელიც მოსკოველი პატრონების საამებლად აფხაზეთში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მეტწილად აფსუებს სვამდა. ხომ უნდა გამოეხატათ კომუნისტური იდეოლოგიის ინტერნაციონალური პრინციპებისადმი ერთგულება იმავე სულისკვეთებით, როგორც ხმას აკეთებდნენ ქართველი ერის საზიზღარი მოღალატე და ჯალათი სერგო ორჯონიკიძე და მისი ხელქვეითნი.

სწორედ ასე მოახერხეს აფსუებმა (აფხაზებმა), რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 17 -ია მხოლოდ, საქართველოს ამ რეგიონის მოსახლეობის 47 -ის — აფხაზეთის ქართველობის სიცოცხლისა და ბედის განსაზღვრის ყველა სადავის ხელში ჩაგდება. ამასთანავე, მათ ხელშია აფხაზეთში მცხოვრები რუსების, სომხების, ბერძნების და სხვა ეროვნული ჯგუფების ბედიც.

ერთია ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღება — ამ შემთხვევაში აფხაზეთის უნივერსიტეტის დაარსების გადაწყვეტილება — და მეორე, ამ უნივერსიტეტის სიცოცხლისუნარიანობა. პრაქტიკულად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან აფსუებს სამეცნიერო კადრები არ ჰყავთ და მათი ენაც სათანადოდ განვითარებული არ არის; თვით აფხაზურად წოდებულ სკოლებშიც კი სწავლება მხოლოდ მეოთხე კლასამდე იყო, შემდეგ კი გადადიოდნენ რუსულ ან ქართულ სწავლებაზე.

ამიტომაც აფხაზეთის უნივერსიტეტში აფხაზური ჯგუფები თითქმის არ იყო, ფუნქციონირებდა რუსული და ქართული ჯგუფები. ეს აცოფებდა ანტიქართულ ექსტრემისტებს. უნივერსიტეტის რექტორმა გვარამიამ, რომელიც ადრეც ატარებდა ქართველ სტუდენტთა დისკრიმინაციას, გადაწყვიტა, დაეხურა ქართულენოვანი განყოფილებები. სა-

გაგრძელება მე - 4 გვ.

## წერილები აფხაზეთიდან

ერთ ჩვენს ნაცნობ ლტოლვილს აფხაზეთიდან იქ ჩარჩენილმა კარის მეზობელმა, ქართველმა ხანდაზმულმა ქალბატონმა ორი წერილი გამოუგზავნა. თუ როგორ და რა გზებით მოაღწია წერილებმა აქამდე, ეს, რა თქმა უნდა, საიდუმლოა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ უბრალო ადამიანებს — აფხაზებს, ქართველებს, ბერძნებს, რუსებს და ა.შ. ერთმანეთთან დამაკავშირებელი ძაფები ჯერ კიდევ არ აქვთ განყვეტილი და თავიანთ მეზობლობასა და მეგობრობას ჯერაც ისე აფასებენ, როგორც უწინ, მშვიდობიან დროს.

[illegible] გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ ნაწყვეტები ამ წერილებიდან, რათა ცოტათი მაინც წარმოვიდგინოთ იმ ადამიანთა მდგომარეობა, ვინც აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ჩარჩნენ.

გასაგები მიზეზების გამო არ ვასახელებთ, თუ საიდან გამოიგზავნა წერილი და რა თქმა უნდა, ვერც მისი ავტორის და წერილში მოხსენიებული პიროვნებების გვარს გამოვაქვეყნებთ.

### წერილი პირველი

ჩემო საყვარლებო–

გილოცავთ ახალ წელს, შობას. დაესწარით მრავალს. როგორა ხართ, თქვენზე ფიქრით ვაღამებთ და ვათენებთ. საიდან დავიწყო, არ ვიცი. თქვენთან არავინ მოსულა, კიდევ ბევრი რამე შევინახეთ. კარი ავტომატით რომ დაცხრილეს, არ იღება. ამან ჯერჯერობით ძალიან ხელი შეგვიწყო, № — არავის უშვებს, ბინა ჩვენიაო. მაღალს უნდოდა კარის გატეხვა და პიანინოს გასაჩუქრება, მაგრამ №-მ ივარგა, არ დაანება, თქვენს ქალიშვილს უნდა შევუნახოო. ნარდი, ტელეფონი, ქოლგა, მტვერსასრუტი, თბილი საბნები, ბათინკები მე მაქვს. „დუბლიონკა" № —თანაა. 27-ში, 10 საათზე შემოგრიალდნენ, № — შვილი პირველი მოვიდა სახლში, დაუძახნიათ, ესენი სად არიანო.

№-ის — ოთახში შესულან ვილაცეები, №-ს სახლი დაწვეს. №-ს ბინაშიც სხვა ცხოვრობს. შენი ძველი „ადიალა" გარეთ რომ დაგრჩა იმ დღეს, ჩემთან წავიღე, ღამე მე ვიფარებ, ვეჩურჩულები, ცხარე ცრემლით ვნამავ, შენს კიბეზე ვტირივარ, ჩუმად გეძახი. რა საშინელებაა! შენ რომ აქ მყოლოდი, ჩემს გასაჭირს გადამატანინებდი, რას ვუძლებთ!

ბედნიერი ხართ, რომ აქაურობას ვერ ხედავთ და არ გესმით. რას არ გვიწოდებენ და ღირსიც ვართ. აღუწერელი და ენით გადმოუცემი მდგომარეობაა. ქართულისა და მეგრულის ლაპარაკის ნება არ არის.

გაგრძელება მე - 2 გვ.

## რეპორტაჟი «სოფლის მაშენებელთა» შეკრებიდან...

ნინო დანელია

ორშაბათს, 25 ივლისს კინოს სახლში გაიმართა მოქალაქეთა კავშირის გაფართოებული სხდომა. უკვე მერამდენედ ვნატრობ, რომ უცხოელი ჟურნალისტი ვიყო. როგორ ადვილად, ყოველგვარი ტკივილის გარეშე დავწერდი იმას, რაც მესმის, რასაც ვხედავ. ახლა კი... თავს მხოლოდ იმით ვიმშვიდებ, იქნებ ცოტა სუბიექტური ვართქო. აქვე მინდა გითხრათ, რომ სხდომაზე ჩამწერის გარეშე შევიარე, ამიტომ გამომსვლელთა ზუსტ პერიფრაზს ვერ შემოგთავაზებთ. მათი ნათქვამის აზრსა და სულისკვეთებას კი მოგახსენებთ.

მოქალაქეთა შეკრების მიზეზი რუსეთისა და საქართველოს მეწარმეთა საქმიანი შეხვედრების შედეგთა საზოგადოებისათვის გაცნობა იყო. გაირკვა, რომ ჩვენი ერთ-ერთი გამოსავალია „სნგ"-ში შემავალ სახელმწიფოებთან ერთად, ერთიანი (იქნებ სიტყვა „ერთობლივი" რომ ვთქვათ, აჯობებდა) საწარმოების შექმნა, რადგან რუსეთი ისე, უბრალოდ (!) ფულს არ მოგვცემს. ზურაბ ჟვანიამ გაწელილი, გაბზარული ტემბრით ე.შევარდნაძეს კიდევ ერთი პოსტის — მეწარმეთა საქმიანობის მაკოორდინირებელი კომიტეტის ან საბჭოს, (ზუსტად ვერ ვიხსენებ) თავმჯდომარეობის შეთავსება სთხოვა.

ე.შევარდნაძემ გამოსვლების ინფორმაციული სიმწირე, ზერელობა და გამომსვლელთა ცუდი მომზადება ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის შედეგების შეჯამებისათვის დროის უქონლობას დააბრალა და თვითონ ასეთი ინფორმაცია დაამატა: რუსეთის დახმარებით დასრულდება ხუდონჰესის მშენებლობაო. ე.შევარდნაძემ ისიც გაიხსენა, რომ ელცინის ჩამოსვლისას დაიდო ბევრი კარგი ხელშეკრულება, რომელიც შემდგომში მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და შიში გამოთქვა, რომ მეწარმეთა შემთხვევაშიც ასე არ მომხდარიყო.

სახელმწიფოს მეთაურმა პრესისა და ტელევიზიისგან საგანგებოდ მოითხოვა იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ მოსკოვში ფეხმოკიდებული ქართული დიასპორის ბიზნესმენებიდან მხოლოდ ბ-მა ფრანგიშვილმა

გაგრძელება მე - 2 გვ.

# წერილები აფხაზეთიდან

პირველი გვერდიდან

თუ შემთხვევით დაილაპარაკე, ჩაგარტყამენ. რა თქმა უნდა, ურევია კარგებიც, მაგრამ უმრავლესობის დევიზია: აქ ქართველი არ დაბრუნდება. გვეკუთვნის ყველაფერი. ხაფანგში ვართ მომწყვდეული. №— ნახა, რომ თქვენს სახლს ჯერ თურქი ეწერა, მერე კარფანჯრები ჩარჩოიანად დახსნეს და გაიტანესო. № -ჯიშმა გაანადგურა ქართველობა. თქვენი № — გააფრთხილეთ, არ თქვას წერილს რომ გწერთ, №-ისედაც ეჭვობს, რომ თქვენთან კავშირი მაქვს, ადამიანის მოკვლა ბუზის მოკვლასავითაა. ველირსები თქვენს ნახვას ნეტავი?

გკოცნით, გეხვევით თქვენი ბებია №..

# წერილი მეორე

ჩემო შვილივით საყვარელო..

თქვენ შემოგევლოთ ჩემი საწყალი თავი. ღმერთმა მოთმინება მოგცეთ. დღეში ორჯე მივდივარ ჩემს გაუბედურებულ ოჯახში. ვჯდები თქვენს კიბეზე, ჩუმად ცხელ ცრემლებს ვღვრი. ხომ გაქვს წარმოდგენილი, შვილო, რა მდგომარეობაში ვიქნები. გხედავ ეხლა, თუ როგორ ტირიხარ, როგორ გევსება შენი ლამაზი თვალები ცრემლებით (ჩემო თვალებბრიალა), ხანდახან № მომიჯდება, № — გაკიდულია სოჩა-სოხუმის გზაზე, სამ ოჯახს არჩენს. დანარჩენებისთვის ომი არ ყოფილა. ზოგი გამდიდრდა სხვისი ქონებით. აქაური სიტუაცია რთულია. დევიზია: არცერთი ქართველი. ხშირად ეხედავ №— პურის რიგში, ვჩურჩულებ საცოდავად. გადაგახედე ერთი აქაურ პენსიონერებზე, ხანშიშესულებზე, გული მოგიკვდება იმათი საცოდაობით. აკანკალებული, დაბეჩავებული, ენაწართმეულნი, სასადილოში აძლევენ 200 გრ. პურს, სუპს, ერთ ჭიქა ჩაის დღეში ერთხელ. იმაზედაც მადლობელი უნდა ვიყოთ, ჩვენ არაფრის ღირსი ვართ. სანაქებო მთავრობამ აი, სადამდე მიგვიყვანა. ნუთუ 5 მილიონ ქართველში ერთი დავითის ან თამარისნაირი არ აღმოჩნდა.

ის მაღალი არ ყოფილიყო, ჩვენი ეზო ისე დაგიცავდათ, არაფერი იქნებოდა, ძველი და ახალი არ დატოვა იმან, მისმა გოგომ. იმ უსახელომ, ხომ იცი ვინ, სულ გაცალა შენი აბაზანა, თვითონ დაისაკუთრა.

ერთმანეთს გაუფრთხილდით, რამე თავშესაფარს ეცადეთ. არ დაეცეთ, ქართველებო, მზე ამობრწყინდება იმათთვის, ვინც ცოცხალია. ვაი იმათ, ვისი მზეც უდანაშაულოდ დაბნელდა.

რა ცუდ გრძნობაზე ვარ ამ წუთში და საერთოდ. № ავად გახდა, იმას თუ რამე მოუვიდა, ჩვენი სახლი მარტო რჩება უპატრონოდ. ყველას უნდა გავწყდეთ ქართველები, ჩვენი მკვდრები არაფერია, რა საცოდავად გამოიყურება ასე დატოვებული ოჯახები, აუწერელია, ბევრი, ბევრია დამწვარი, სოფლებში სულ გადაწვეს სახლები. ეხლა ქართველების ეზოებიდან ხილი გააქვთ სოჩაში და ყიდიან. მოკრეფა თუ დაეზარათ, ძირში ჭრიან თურმე. არაფერი საიმედო აქ არ ისმის, რას ფიქრობთ, არ მიდიხართ იქ მთავრობასთან, ამდენი რამე რომ დაგაკარგვინეს. აწი როდის მეღირსება თქვენი ნაწერი, თუ მანამდე ჩამოხვალთ?!

აუტანელია ჩემი ფიქრი და აზრი. ეს გული რას უძლებს თურმე. თქვენ ერთმანეთს ხედავთ ყოველწუთს, ჩვენ კი ყოველწუთს სიკვდილის მოლოდინში ვართ.

გკოცნით თქვენი...

# რეპორტაჟი «სოფლის მაშენებლობა» შეკრებიდან...

პირველი გვერდიდან

მიიღო მონაწილეობა ამ შეხვედრაში, და თქვა, რომ მოსკოვში ხელმოცარვის შემდეგ, საქართველოში ჩამოსვლის სურვილის გაჩენისას, მათ სამშობლოში ჩამოსასვლელი პირი უნდა ჰქონდეთ.

ბ-მა შევარდნაძემ გულისწყრომა გამოთქვა იმ ჟურნალისტების მისამართით, რომლებმაც „ხელზე დაიხვიეს“ და „აიჩემეს“. რომ მეთაურს ისევ ერთიანი საწარმოების შექმნა უნდა, მაგრამ თურმე ეს გზა ჩვენი კეთილდღეობისკენ, ჩვენი დამოუკიდებლობისკენ (!), ჩვენი გადარჩენისკენ (!) მიმავალი ყველაზე მოკლე გზა ყოფილა, და თუ ვინმემ სხვა გზა იცის, ბ-ნი შევარდნაძე მუხლმოდრეკით სთხოვს, აჩვენოს მას ეს გზა (!).

ვიცესპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ვერაფრით ვერ გაარჩია ერთმანეთისაგან პოლიტიკური მოთხოვნებითა და შეჭირვებით გამოწვეული შიმშილობა და უზნეობა უწოდა ირაკლი წერეთლის შიმშილობას მაშინ, როცა აკადემიკოსებიც კი ლუკმა პურზე ოცნებობენ. ამ დროს, დარბაზიდან ჭაბუა ამირეჯიბმა იხუმრა: „რაც წერეთელმა შიმშილობა გამოაცხადა, მაღაზიებში პროდუქტები დაიყარაო“ (ალბათ ბ-ნი მწერალი გულისხმობდა კომერციულ მაღაზიებს, რომლებსაც არც მანამდე აკლდათ ცეცხლის ფასად ღირებული პროდუქტები), რასაც გაპრანჭული და პრეზიდიუმისკენ ნეტარებით მომზირალი ქალბატონები მხიარული კისკისით შეეგებნენ.

ვახტანგ რჩეულიშვილმა დარბაზს უმრავლესობისა და მოქალაქეთა კავშირის ერთიანი იდეოლოგიის შემუშავება შესთავაზა (ვინ იცის, წარსულის ნოსტალგია მოაწვა!). თურმე ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, ენერგოკრიზისის დადგომისას, 1972 წ. იდეოლოგიურ პროპაგანდას აწარმოებდა, უხსნიდა ხალხს რა უნდა ჩაეცვა, როგორ უნდა გამთბარიყო, და თურმე, ამ პროპაგანდის კომპანიას სათავეში პრეზიდენტის ცოლი ედგა. ჩემდა უნებურად, გამეღიმა. ვიცე-სპიკერი შეწუხებული ჩანდა, „სულ თავის მართლება გვიწევსო“ და ამიტომ, გადაწყვიტა, ყველას დაასწროს და განაცხადოს, რომ ისტორიულადაც კი რუსეთი საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეა. ახლა კი იმატა ვ.რჩეულიშვილის ემოციურობამ, მან ხმას მოუმატა და უმცირესობის წინადადებას, უამრავი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებით დამძიმებული მეთაურის გადაყენების შესახებ, დაუპირისპირა საკუთარი წინადადება. ვიცესპიკერმა მოითხოვა ნ.ნათაძის თავდაცვის კომისიის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლება — ეს კაცი ხომ რუსეთში ვერ ხედავს სტრატეგიულ მოკავშირეს (არც გაემტყუნება. მოკავშირე არ გებრძვის, არ გართმევს, არ გკლავს, არ გატყუებს, პირიქით, ის გაიმედებს, გეხმარება).

გაგულისებული რჩეულიშვილი გათავისუფლებით დაემუქრა ვაჟა ადამიასაც, ის ხომ არ იზიარებს უმრავლესობის აზრს. ჩემთვის გავიფიქრე, ალბათ სხვა აზრის დევნა და „მეამბოხეთა“ დასჯა დაიწყოთქო. დარბაზი კი აღელდა და მქუხარე, ერთსულოვანი ტაში შემოჰკრა, რამაც ვ.რჩეულიშვილი კიდევ უფრო შეაგულიანა. მან დარბაზს აუწყა, რომ ძნელი საქმე არ არის არასასურველი კაცის მოხსნა. ამისთვის ხომ მხოლოდ სხვა ხმაა საჭირო და ამ ხმებს მხოლოდ „შეკრება“-ღა უნდა. (ალბათ წამოცდა, რას არ იტყვის ემოციებს აყოლილი კაცი). ისე, რა ცუდად აიჩემა ბ-მა ვიცე-სპიკერმა ეს „უმრავლესობა“, . ისევ ეს დასაქცევი რუსული ბოლშევიკი ამოტივტივდა მეხსიერებაში.

ზ.კერვალიშვილის გამოსვლამ აღაშფოთა დეპუტატი გიგა ლორთქიფანიძე, რომელმაც ვერაფრით ვერ გაიგო, რატომ ვყიდულობთ თურქმენეთისგან ერთ კუბურ მეტრ გაზს 80 დოლარად, როცა შეგვიძლია ვიყიდოთ რუსეთისგან 50 დოლარად? (მართალი გითხრათ, ვერც მე გავიგე). ბ-მა გიგამ მეორედ ის გაიკვირვა, რომ, თუ ენერგოკრიზისიდან გამოსავალი სინათლის გრაფიკის დაცვაა, ამ ზამთარს, რატომ ერთხელ მაინც ვერ შეასრულეს დადგენილი გრაფიკი?! ახლა ზ.კერვალიშვილის გაცხარების ჯერი დადგა, კაცო, რა დაგემართა, რით ვერ გაიგე, რომ ამ გრაფიკის შესრულებისათვის საჭიროა მთელი ენერგოქსელების შეცვლაო. ნეტავ, რას უცხადებენ მოსახლეობას, თუ წინასწარ იციან, რომ ვერ შეასრულებენ — ჩაილაპარაკა ბ-მა გიგამ. კერვალიშვილმა კი განაგრძო დარბაზის დაშოშმინება იმით, რომ ენერგოქსელების შეცვლაზე ახლა მუშაობენ. ერთ-ერთმა პატიოსანმა დამსწრემაც ვერ მოითმინა და ადგილიდან წამოიყვირა: „თქვე დალოცვილებო, რაღა დღეს და ხვალ მუშაობთ ზამთარი კარს მოგვდგომია, აქამდე რას აკეთებდითო“. პასუხი ის იყო, რომ ენერგიის მიღების რამდენიმე დამატებითი წყარო გაჩნდა, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ენგური წყლით აივსო (მართლაც, ალბათ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ბ-ნმა კერვალიშვილმა ენგურის წყლით ავსებაში!), ის ენგური, რომელიც მართალია დროებით, მაგრამ მაინც დაკარგული აფხაზეთის ტერიტორიაზეა და ჩვენთვის არავითარი ენერგიის გაღება არ სურს. ბენზინზე ლაპარაკისას დარბაზიდან გაისმა რეპლიკა, „წილი ვისი უფრო მეტია, მთავრობის თუ პარლამენტისო“. რას არ გაიგონებ პატიოსანი კაცი.

კერვალიშვილი ქალაქის მერმა ნიკო ლეკიშვილმა შეცვალა და გიგა ლორთქიფანიძის, ამჯერადაც სამართლიანი გაოგნება გამოიწვია. ბ-მა მერმა აღნიშნა, რომ საავადმყოფოები დატვირთული არ არის და ამიტომ, 60-ის მიხედვა საკმარისად მიიჩნია, რაზეც წყობიდან გამოსულმა პატიოსანმა მოქალაქემ უპასუხა, რომ საავადმყოფო ვერ იქნება დატვირთული მაშინ, როცა იქ არ არის სითბო, სინათლე, პროდუქტი, წამალი, ავადმყოფის ოპერაციისათვის და მისი შემდგომი მოვლისთვის აუცილებელი პირობები.

ერთ-ერთმა მოქალაქემ დარბაზიდან ლეკიშვილს ბრალი დასდო, ქალაქის გამწვანებულ ადგილებში მშენებლობათა წამოწყებაში, რაც ლეკიშვილმა იუარა და, ყველაფერი მის წინამორბედ მერს გადააბრალა (ისევ ბოლშევიკური დიადი ეპოქის მმართველნი შემოიჭრნენ მეხსიერებაში), მაგრამ „აბეზარმა“ დეპუტატმა შეახსენა 20 აპრილს, ე.ი. მისი მერობის დროს მიღებული ასეთი დადგენილება. სხვა გზა რომ აღარ იყო, ე.შევარდნაძემ მიკროფონში კალმისტრის კაკუნი ატეხა, რასაც, მანამდეც, არა ერთხელ აკეთებდა, როცა სიცხის და ტყუილებისგან დაღლილი მოქალაქენი დარბაზს ტოვებდნენ ან გვერდზე მსხდომთ ეჩურჩულებოდნენ.

სხდომის ბოლოს, ე.შევარდნაძემ ზამთრისთვის მზადების 100 დღის გამოცხადება შესთავაზა დამსწრე საზოგადოებას. ამისათვის, თურმე საჭიროა, გაზსა და ელექტროენერგიაზე გადასახადის გაზრდა. და იქვე სულგრძელად დასძინა, რომ მოსახლეობას ხელფასიც გაეზრდება. ასე რომ, ხელფასები თუ გაგეზრდებათ, ნაადრევად ნუ იფიქრებთ, რომ ცოტათი მაინც მოითქვამთ სულს.

ყველაზე საშინელი და შესაწუხებელი მაინც ის იყო, რაც გია ბარამიძემ თქვა. რუსმა გენერალმა კოზლოვმა განაღმა აფხაზეთის ძირითადი სტრატეგიული პუნქტები და მაგისტრალები, ეზოებისა და კარ-მიდამოების განაღმვის ვალდებულება კი თავიდან მოიხსნა — ამისათვის რუსის ჯარის დამატებითი ეშელონების შემოყვანა, ე.ი. უფრო მეტი ადამიანი მოითხოვა.

ვუყურებდი გარეგნულად მშვენიერ, მჭევრმეტყველ, ჭკვიან გია ბარამიძეს და რატომღაც, საუკუნის დასაწყისის ახალგაზრდა, ანთებული რუსი რევოლუციონერები მახსენდებოდა. იგივე გაჭიმული, მკერდგამოწეული, ფეხგადგმული პოზა, იგივე პათეტიკური ტონი — ცოტა გული დამწყდა.

ის-ის იყო სხდომა უნდა დასრულებულიყო, რომ მიკროფონთან ელდარ შენგელაია გამოიჭრა, პარლამენტის სხდომების განახლებამდე ერთი თვეღა დაგვრჩა და არიქა, ჩქარა შევიკრიბოთ მოქალაქეთა კავშირი და უმრავლესობა, საშემოდგომო სესიების მყარი გეგმა, მისი ხერხემალი მაინც შევიმუშავოთ, თორემ უმრავლესობა მუდმივად უმცირესობის მადევარის როლშია, მათ მიერ დასმულ პრობლემებს კარგად არ იცნობენ (მიუტევონ უმრავლესობის წარმომადგენლებმა ბ-ნ ელდარს. ეს მას არაპოლიტიკოსობის გამო წამოცდა უთუოდ.) ამიტომ პასუხის გასაცემად უმრავლესობის წარმომადგენლებს დრო არ ჰყოფნით. იქნებ იღონ ყურად ამ კაცის განგაში, მართლა შეიკრიბონ და შეისწავლონ უმცირესობის მიერ დასმული პრობლემები, იქნებ ამით ჩვენც გვეშველოს რამე.

ზოგიერთი გამომსვლელის „მჭერმეტყველებაც“ იქცევდა ყურადღებას. აი, მაგალითად: „მათმა გვთხოვეს“, „ყველა წევრებს“, „ჩამოდი და ჩეერთე საქმეში“. მინდა დავიჯერო, რომ ეს მათ ზედმეტი მღელვარების გამო მოსდიოდათ.

აი, ასე გამოიყურებოდნენ გამომსვლელნი.

დარბაზში კი, მხედველობაში მისი ზედა რიგები მაქვს, უცნაური რამ ხდებოდა. ჩემს გვერდით მჯდომს, ეტყობა, მოწყინდა ამ ულოგიკო გამოსვლების მოსმენა და წინასწარ მომარჯვებულ ბლოკნოტში დეკორატიული ყვავილების ხატვა დაიწყო.

აქვეა „მის ტელევიზია“ ქ-ნი ნატო ონიანი, რომელიც ერთ-ერთი ჟურნალისტის სტატიაზე გამწყრალ საყვარელიძეს ამშვიდებს, ერთუჯრედიანი დაწერდაო, და გასამხიარულებლად, ბაუნთიზე ახალ ანეგდოტს უყვება კეკლუცად.

სხდომის დამთავრებისთანავე გარეთ გამოვვარდი და რუსთაველის ქუჩას დავუყევი. ათი საათი იყო. სუფთა ჰაერმა შუბლი გამიგრილა და თითქოს ჩამომაშორა დარბაზში გამეფებული სიყალბის, ჭუჭყისა და მლიქვნელობის ატმოსფერო. ჩემს თავს აღვუთქვი, იქ მეორედ ფეხს აღარ შევდგამ-მეთქი, რადგან ვიცი, „სიბნელის ლანძღვას, ერთი პატარა სანთლის დანთება სჯობს“. მაგრამ ნუ მიწყენთ, ერთ მძლეკავშირად შეკრულო, ქვეყნის ბედზე შეჭირვებულო და მაინც სკამებს მოჭიდებულო მოქალაქენო, რადგან თავიდანვე ვთქვი, რომ ძალიან მტკივა ის, რაც ხდება.

ბ-ნო მოქალაქენო, შეიძლება უსამართლობად ჩამითვალოთ, მაინცდამაინც ცუდი და სასაცილო რომ დავინახე, მაგრამ თქვენზე კარგს თქვენი ბევრი მოტრფიალე ისედაც, ჩემს გარეშეც დაწერს. მე კი კარგად მახსოვს „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

ინტერვიუ

# ვახტანგ ძაბირაძე: საჭიროა შეიქმნას სახელმწიფო

— ბატონო ვახტანგ, თქვენ, როგორც ყოფილი დას-ის, შემდგში რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, ამჟამად კი გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე, რას მოელით ამ სამი პარტიის — სახალხო ფრონტის, ქარტია-91-ისა და რესპუბლიკური პარტიის გაერთიანებისაგან — შეძლებთ კი ქმედითი ზეგავლენა მოახდინოთ ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსზე?

— დავიწყებ იმით, რომ ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია განვაცხადო, მე ვიყავი ყოფილი რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ლიდერი და დღესაც, უკვე გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში, მე ჩემს თავს ასე ვხედავ. ლიდერის პრობლემა ქართულ პოლიტიკაში და საზოგადოებრივ ცნობიერებაში საკმაოდ მტკივნეულია; სამწუხაროდ, მისი მასობრივი აღქმა ხდება როგორც ერთადერთის და შეუცვლელის. საზოგადოების მხრიდან ასეთი მიდგომითაა გამოწვეული, რომ ჩვენი ხალხი ძირითადად „მხსნელის" ძიებითაა გართული და ნაკლებად აინტერესებს შედეგები, რაც ამგვარი „ლიდერის" ქმედებას მოაქვს ქვეყნისათვის და თითოეული ჩვენთაგანისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოებას იმის მაგიერ, რომ აინტერესებდეს პასუხი კითხვაზე — ეს თუ არა, მაშინ რა? აინტერესებს პასუხი სულ სხვა კითხვაზე — „ის თუ არა, მაშინ ვინ?" იმის ახსნა, თუ რატომ ჩამოყალიბდა ჩვენს საზოგადოებაში ამგვარი დამოკიდებულება, შორს წაგვიყვანს, მაგრამ ისიც ცხადია, სანამ დამოკიდებულება „ლიდერის" პრობლემისადმი კარდინალურად არ შეიცვლება, ძალიან გაგვიჭირდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების რეალური დამკვიდრება. „ლიდერის" საპირისპიროდ საზოგადოებას ჩვენ შევთავაზეთ გუნდური პრინციპი, რომელიც, რასაკვირველია, არ გამორიცხავს რომელიმე პიროვნების წინ წამოწევას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასეთი პიროვნება უკვე ვეღარ იქნება „ერთად ერთი და განუმეორებელი"; საზოგადოება მის სურათთან არც სანთლებს აანთებს, არც კარვებს გაშლის და არც მუხლზე დაიჩოქებს, არამედ მოსთხოვს იმის შესრულებას, რასაც ნებისმიერი საზოგადოება მოითხოვს ხელისუფლებისაგან.

ახლა იმის შესახებ, თუ რამდენად ქმედითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. წმინდა არითმეტიკით თუ ვიმსჯელებთ, მხედველობაში მაქვს დეპუტატთა მანდატების რაოდენობა, ჩვენ რეალურ ზეგავლენას ხელისუფლებაზე, ბუნებრივია, ვერ ვახდენთ, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია არა არითმეტიკული ფაქტორები — ჩვენი მეგობრებიც და არაკეთილმოსურნენიც (არ მინდა სხვა სიტყვა ვიხმარო), აღიარებენ ჩვენს ინტელექტუალურ პოტენციალს, მინდა ვთქვა, რომ პარლამენტში, გარდა პოლიტიკური დებატებისა და გამოსვლებისა, ჩვენ ვეწევით აქტიურ კანონშემოქმედებით მუშაობას. ფრაქციაში დამუშავებული და პარლამენტში განსახილველად შეტანილი კანონპროექტების რაოდენობით და ხარისხით ჩვენ ნებისმიერ საპარლამენტო კომისიას გავუტოლდებით, აღარაფერს ვამბობ სხვა ფრაქციებზე. გარდა ამისა, სამი ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის გაერთიანება, როგორიც იყო სახალხო ფრონტი, ქარტია —91 და რესპუბლიკური პარტია, რომელთაც, არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ცალ-ცალკე, საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაში, უთუოდ შეუწყობს ხელს ქართული პოლიტიკური სპექტრის სტრუქტურების, მონათესავე პოლიტიკური ძალების კონცენტრაციას. ეს პროცესი, როგორც ვიცი, უკვე დაიწყო, ჯერ-ჯერობით ფრაქციების დონეზე გაერთიანდნენ მონარქისტები და ტრადიციონალისტები. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი დახურა პოლიტიკურ სპექტრს, რაც ამომრჩევლს გაუადვილებს ორიენტაციას. და კიდევ, ამ სამი ორგანიზაციის გაერთიანებით შეიქმნა სერიოზული ძალის მქონე ინტელექტუალური პარტია, რომელსაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ხელისუფლებაზე.

**— ხელისუფლების გარკვეულ წრეებში ამ პარტიების ერთ ორგანიზაციად გაერთიანება აღიქვეს, როგორც ნეგატიური ძალების გაერთიანება. თქვენის აზრით, რისი მიმანიშნებელია ეს?**

— საინტერესოა, მაგრამ ფაქტია, ისინი, ვინც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ირონიულად და დაცინვით „ეროვნულ-დამანგრეველს" უწოდებენ, რა თქმა უნდა ახლა, როცა ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და ძალა მოეცათ, თორემ იყო დრო, როცა ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდნენ, სულ იმას გაჰკიოდნენ, რომ საქართველოში ასზე მეტი პარტიაა, რომ ყველას, ვინც ეროვნულ მოძრაობაშია საკუთარი პარტიის შექმნა უნდა და მხოლოდ ამბიციები ამოძრავებთ და ა.შ. მაგრამ, საკმარისი იყო ჩვენ გავერთიანებულიყავით, რომ მაშინვე ამ გაერთიანებას „სამი ნეგატიური ძალის" გაერთიანება უწოდეს, თანაც ვინ — პარლამენტის თავმჯდომარემ. რა გამოდის? ე.ი. პარლამენტში, რომლის თავმჯდომარეც თავადაა, არის უმრავლესობა — პოზიტიური ძალა და ოპოზიცია — ნეგატიური ძალა. წარმოგიდგენიათ, კლინტონმა ან რომელიც გნებავთ სხვა დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაურმა თავის ოპოზიციას ნეგატიური ძალა რომ უწოდოს, რა ამბავი ატყდება?! პირადად ჩემთვის, ჩვენი გაერთიანების ასეთი შეფასება სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან მოულოდნელი არ იყო, მე უფრო მისმა გულახდილობამ გამაკვირვა, თორემ ადამიანი, რომელიც აღზრდილია პრინციპზე — „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია" — შინაგანად დემოკრატი რომ ვერ გახდება, ამას ბევრი მტკიცება არ ჭირდება, უბრალოდ მან იცის, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში მიღებული ტერმინია „ოპოზიცია" და ძირითადად ამ ტერმინს ხმარობს, მაგრამ, ეტყობა ჩვენმა გაერთიანებამ იმდენად გააღიზიანა და იმდენად არა სასურველი იყო მისთვის, რომ თავი ვერ შეიკავა და ის ტერმინი იხმარა, რაც მისთვის ბუნებრივი, სისხლხორცეული იყო (როგორც გახსოვთ, ბატონი შევარდნაძე საქართველოს ხელისუფლებაში სწორედ „ნეგატიურ მოვლენებთან" ბრძოლის ლოზუნგით მოვიდა და იმდენი „ებრძოლა", რომ როდესაც მოსკოვში გადაიყვანეს, საქართველოში ის „ნეგატიური მოვლენები" პოზიტიურად იყო ქცეული და მთელს ქვეყანაზე მოდებული). რატომ გააღიზიანდა ასე, ამაზე ნაწილობრივ მე უკვე გავეცი პასუხი. აქ მოკლედ შეიძლება ითქვას — მან რეალურად დაინახა ის ძალა, რომელსაც შეუძლია ხელისუფლებაში შეეცილოს დღეს თუ არა, ხვალ მაინც და, ბუნებრივია, დაიწყო ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. რით შეუძლია ხელისუფლებას ჩვენ რომ გვებრძოლოს? ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, როგორც წარსულში, ისე დღევანდელში, მათ ისეთი, რაც სახელს გაუტეხს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას, რეალურად არაფერი გააჩნიათ. ამიტომ იძულებულნი არიან იარლიყების მიწებებას და ცილისწამებას მიმართონ, სხვა გზა მათ არა აქვთ. ეს პროცესი უკვე დაიწყო და ალბათ უფრო გაძლიერდება.

**— მავანი და მავანი, რა თქმა უნდა, არაკეთილმოსურნენი, გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას განხეთქილებას და კვლავ სამ ორგანიზაციად დაშლას უწინასწარმეტყველებენ. თქვენის აზრით, რამდენად მოსალოდნელია ეს?**

— ვფიქრობ, ობიექტური პირობები იმისა, რომ გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში რაღაც სერიოზული განხეთქილება მოხდეს, არ არსებობს, მისი დაშლა 3 ორგანიზაციად კი გამორიცხულია; ჩვენი გაერთიანება არ მომხდარა სპონტანურად, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო ურთიერთთანამშრომლობისა და, თუ გნებავთ, ურთიერთშესწავლისა; ჩვენ გვაქვს შეთანხმება ძირითად პრინციპებზე, ქვეყნის მოწყობაზე და სხვა. არის საკითხები, რომლებშიც ჩვენ, მხედველობაში მაქვს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭო, ვკამათობთ, მაგრამ ვკამათობთ ერთიანი ორგანიზაციის ფარგლებში და არა როგორც სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები, ვფიქრობ, ეს ბუნებრივია და არ არის განხეთქილების მატარებელი, ამბიციურობა, თუკი ის ჩვენში არსებობდა, უკვე დაძლეულია; მე ვთქვი, რომ ჩვენს წინააღმდეგ დაიწყო და გაძლიერდება ცილისწამება და იარლიყების მიკერება, არის სხვა მექანიზმებიც, რომლებსაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოიყენებენ, მაგრამ ჩვენ იმხელა გზა გამოვიარეთ და იმდენი გადავიტანეთ, განსაკუთრებით ბოლო შვიდი წლის მანძილზე, რომ არა მგონია ამ მეთოდებმა ის შედეგი გამოიღოს, რაც მათთვის სასურველი იქნება. ცალკეული პიროვნების წასვლა ან სხვა პოლიტიკურ ჯგუფში გადასვლა, თუკი ასეთი მოხდა, ვინც არ უნდა იყოს იგი, პარტიის სახეს, პრესტიჟს და პოლიტიკურ ხაზს ვერ შეცვლის, თანაც, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არც ჩვენი საზოგადოებაა ისეთი გულუბრყვილო, როგორც ამ 7 წლის წინ იყო და მოვლენებს საკმაოდ კრიტიკულად უყურებს. ამდენად, აზრი, რომ შესაძლებელია გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია კვლავ სამ ორგანიზაციად დაიშალოს, უსაფუძვლოა და მის დამკვიდრებას სწორედ ჩვენი მოწინააღმდეგეები უწყობენ ხელს. მიუხედავად ამისა, ჩვენ დიდი სიფრთხილე, მოთმინება და წინდახედულება გვმართებს.

**— რას იზამთ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში?**

— ხელისუფლებაში ჩვენ უკვე ვართ, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებზე რეალურ ზეგავლენას ვერ ვახდენთ, ან თითქმის ვერ ვახდენთ. მე მგონი კითხვა ცოტა სხვაგვარად უნდა დაისვას — რას იზამთ თქვენ, თუ ხელისუფლებაში უმრავლესობა იქნებით? დღეს-დღეობით, ჯერ-ჯერობით ეს უფრო თეორიული ხასიათის კითხვაა, მაგრამ მასზე პასუხი უნდა გაიცეს. არსებობს მარტივი პასუხი — დავიწყებთ რეფორმების რეალურ გატარებას — ასეთი პასუხი, ბუნებრივია, არავის აკმაყოფილებს, არც პოლიტიკოსს და არც არაპოლიტიკოსს, რადგან მთელი 5-6 წლის მანძილზე და უფრო ადრეც ყველა ხელისუფლება ეროვნულიც და არაეროვნულიც, წითელიც და მრგვალიც, გუშინდელიც და დღევანდელიც ხალხს რეფორმების დაწყებას პირდებოდა და ამ მიმართულებით თითქოს რაღაცას აკეთებდა კიდეც; მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენ ყველანი რეფორმაზე და მის გატარებაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ეტყობა სხვადასხვა შინაარსს ვდებდით მასში. რა არის რეფორმა და როგორ ვუყურებთ ჩვენ მას. ამაზე მსჯელობა და მისი არგუმენტირება საკმაოდ ვრცელ განსჯას საჭიროებს, აქ მხოლოდ ზოგადად შევეხები — რეფორმა, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონალური და სტრუქტურული გარდაქმნა, თუ ეს არ გაკეთდა, ცალკეულ დარგებში გატარებული ღონისძიებები და პრივატიზაცია სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს და ვერც გვაძლევს.

**— ყველა ხვდება, ვგულისხმობ პოლიტიკოსსა და არაპოლიტიკოსსაც რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. თქვენის აზრით, რაა საჭირო, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდეს და ნორმალურ, მართლაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შენების გზაზე დადგეს?**

— საქართველოს გააჩნია ყოველგვარი პოტენციალი იმისათვის, რომ თავი დააღწიოს კრიზისს და აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ამისათვის სულაც არაა საჭირო სნგ-ში ან სამანეთო ზონაში შესვლა. საჭიროა მხოლოდ შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც ამ პოტენციალს აამოქმედებს — ასეთი მექანიზმია სახელმწიფო. ე.ი. საჭიროა შეიქმნას სახელმწიფო, ოღონდ სახელმწიფოს შექმნას საფუძვლად უნდა დაეყრდნოს განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული მოდელები და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ველოსიპედის თავიდან გამოგონება.

ესაუბრა
სერგო ჯანაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საით მიგყავთ საქართველო,

პირველი გვერდიდან

ქართველოს კომპარტიის ცკ-ს გამყიდველები კვლავ აფსუა ექსტრემისტების ნებას დაყვნენ. შენობა, ყველა ლაბორატორია, მოწყობილობა მათ დაუტოვეს, ხოლო ქართველ სტუდენტებს სწავლის გაგრძელება მშობლიურ ენაზე რომ შეძლებოდათ, სოხუმის პირველ საშუალო სკოლასთან გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი.

სტუდენტებმა, 1989 წ. ზაფხულში აფხაზეთის უნივერსიტეტში შეიტანეს 17 (?) განცხადება, თბილისის ფილიალში კი — 1120!

აშკარად გამოჩნდა, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტი მკვდრად შობილი იყო და დიდხანს ვერ გაძლებდა.

აი, მაშინ დაიწყო. 12 ივლისს აფსუებმა მოაწყვეს ანტიქართული აქციები, დაარბიეს ქართული გაზეთი, 14 ივლისიდან კი დაიწყო აშკარა ამბოხი. ალყა შემოარტყეს პირველ სკოლას, სადაც მიმდინარეობდა სტუდენტთა ჩაწერა. აფხაზეთის ა.რ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც რუსი გენერალი ჩულკოვი ხელმძღვანელობდა, და რომელიც სულ ორასიოდ მეტრზეა სკოლა-ფილიალიდან, თითიც არ გაანძრია, რომ ამბოხებული აფსუები დაეშოშმინებია; მათ რიგებში იყვნენ აფხაზი ეროვნების მაღალი თანამდებობის პირები — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კობახია, საოლქო კომიტეტის მდივანი ტარკილი, იუსტიციის მინისტრი ლაკობა და სხვა. 15 ივლისს დაიწყო აფსუათა ღია შეიარაღებული გამოსვლა. ორი კატარღით (საიდან გაუჩნდათ აფსუებს სამხედრო კატარღები?) და სატვირთო მანქანებით გუდაუთიდან ჩამოცვივდნენ სოხუმში აფხაზი „ბოევიკები", სკოლა-ფილიალის შენობა შტურმით აიღეს. შენობაში მყოფი 9 პედაგოგი მხეცურად სცემეს ამ დროისათვის არეულობის ადგილას გამოჩენილი გენერალ ჩულკოვის ცხვირწინ. აფსუებს ცეცხლსასროლი იარაღიც აღმოაჩნდათ. თავს ესხმოდნენ ქართველთა სახლებს, ესროდნენ საავადმყოფოებს, სადაც დაზარალებულ ქართველებს მკურნალობდნენ და ა.შ. 15 ივლისის საღამოსათვის, შოკიდან გამოსულმა ქართულმა მოსახლეობამ დაიწყო თავდაცვითი ჯგუფების ჩამოყალიბება და რაც ხელთ მოხვდათ, იმით შეიარაღდნენ. მთელი ღამე მიდიოდა შეტაკებები და 16 ივლისის დილისათვის აფსუა ბანდიტები განდევნეს ქალაქიდან.

როცა სასწორი ქართველებისკენ გადმოიხარა, გამოჩნდა სსრკ შსს დიდი ძალები, რომლებიც ცნობილი არიან იმით, რომ „დაავგიანეს" სუმგაითში, „დაავგიანეს" ფერგანში, მაგრამ სულ არ დაუგვიანებიათ საზარელი ხოცვა-ჟლეტის ღამეს თბილისში, რომელმაც შეაძრწუნა ცივილიზებული სამყარო.

აი, მოკლედ, რა მოხდა სოხუმში 1989 წ. ივლისის დღეებში. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ არც ერთი დამნაშავე და მკვლელი არ დასჯილა (მაშინ ხომ მოკლეს 9 ქართველი, 1 რუსი, 1 სომეხი და 5 აფხაზი).

თბილისში კომუნისტური ხელისუფლება შეეცადა მალე დაევიწყებია მომხდარის შესახებ. აი, მაშინ ჩაუყარეს საფუძველი მომავალ ტრაგიკულ მოვლენებს აფხაზეთში, აი, მაშინ გააგებინეს ნათლად აფსუებს, ვის მხარესაა მოსკოველი პატრონები. მათი ქართველი მსახურები თბილისში კი კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავდნენ, მათთვის ხომ მზეც ჩრდილოეთიდან ამოდიოდა.

სხვა რანგის ბევრი რამ მოხდა მომდევნო წლებში, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები გამოვიარეთ. დაინგრა სსრკ — ბოლო კოლონიური იმპერია და ყველა ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკამ" დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ყოფილი სსრკ სივრცეში მძიმე დრო დადგა: ეკონომიკის მოშლა, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტებმა მიიყვანეს კატასტროფულ მდგომარეობამდე; სამართლებრივი ქაოსი გარდაუვალი მას შემდეგ, რაც ხალხი, 70 წლოვანი კომუნისტური მმართველობას საბჭოთა ხელისუფლების, თვითნებობას, შეგუებული იგრძნობს ულისაგან გათავისუფლებას.

საქართველოს ყველაზე მძიმე ხვედრი ერგო. ახალი აღორძინებული სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდა (თან სრულიად კანონიერად, არჩეული დემოკრატიული გზით) ზვიად გამსახურდია — ადამიანი, რომელიც პრეზიდენტის თანამდებობას არ შეესაბამებოდა. იგი გახელისუფლდა ხალხის ანტიკომუნისტური განწყობილების ტალღაზე. ხალხი მას იცნობდა როგორც შვილს გამოჩენილი მწერლის, რომელიც არ მალავდა კომუნისტებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. ამასთანავე გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა ორი სხვა მსხვილი ანტიკომუნისტური პარტიის ლიდერებმა, რომლებმაც არ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა და ამით გზა გაუხსნეს ზვიად გამსახურდიას.

ეს იყო პირველი საბედისწერო შეცდომა, რომელიც დაუშვა ქართველმა ერმა და მას მოჰყვა არანაკლები, იქნებ, უფრო მძიმე შეცდომებიც, რომელთაც მიგვიყვანეს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობამდე. ქართული სახელმწიფო უფსკრულის პირას დგას და თუ უახლოეს ხანებში არ მოიძებნება მდგომარეობიდან გამოსავალი, საქართველოს ემუქრება სრული დაქუცმაცება და დამოუკიდებლობის კვლავ დაკარგვა.

გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ჩვენ არ აღმოვჩნდით მზად დამოუკიდებლობისათვის და ღირსი თავისუფლებისა. განვმარტავ ამ მძიმე, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სამართლიან მტკიცებას.

ტოტალიტარული დიქტატურისაკენ მიმავალი ზ.გამსახურდიას დამხობის შემდეგ უკეთესი ჩვენ ვერაფერი მოვიფიქრეთ, ვიდრე ჩვენზე ხელმწიფებისათვის ე.შევარდნაძის მოწვევა (სიტყვა „ჩვენ", რა თქმა უნდა, პირობითად უნდა მივიღოთ), რომელსაც იმდენი ცოდვა მიუძღვის საქართველოს წინაშე, რომ მათი ჩამოთვლა ცალკე დიდ სტატიას მოითხოვს. მხოლოდ იმას გავიხსენებ, რომ აფხაზებს სწორედ მან მისცა ის უფლებები, რაზეც მათ პრეტენზიების არავითარი საფუძველი არა აქვთ.

ჩვენ კი ვიყავით შევარდნაძის იმ საერთაშორისო ავტორიტეტის ეიფორიაში, რომელიც მან მოიპოვა სსრკ დანგრევისას და ვიმედოვნებდით, რომ ეს ავტორიტეტი საკმარისი იყო, საქართველო ერთი ხელის დაკვრით ძლიერი, აყვავებული ქვეყანა გამხდარიყო. თავად კი არ ვჩქარობდით სამშობლოსთვის თითის განძრევას. ყველა თავის პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდა. ეს საერთოდ ქართველი ხალხის ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი თვისებაა.

სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელი კი არანაკლებ უუნარო აღმოჩნდა სახელმწიფოს სამართავად, რომელსაც სამოქალაქო დაპირისპირების დროს დაშლა ემუქრებოდა. შევარდნაძე შეცდომას, შეცდომას უმატებდა არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკაშიც, სადაც მას ბევრი უბადლო სპეციალისტად მიიჩნევდა.

საშინაო პოლიტიკაში რაღაც უაზრო, შეუსაბამო რამ ხდებოდა. საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ კომუნისტების ბატონობის დროს არცთუ საუკეთესო მხრიდან წარმოჩენილი ხალხი. სხვა სიტყვებით, ხდებოდა ძველი ბიუროკრატიული აპარატის აღორძინება; აპარატი კი ნაჩვევი იყო უსიტყვოდ დამორჩილებოდა „უფროსი ამხანაგის" განკარგულებებს, ხოლო ეს „უფროსი ამხანაგი" მიჩვეული იყო უსიტყვოდ შეესრულებია მასზე „უფროსი ამხანაგის" განკარგულებები მოსკოვიდან.

თავიდან ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელი შეეცადა დასავლეთზე ორიენტაციას. იქ მათ თბილად ხვდებოდნენ, მაგრამ ყველგან აგრძნობინებდნენ, რომ რეალური დახმარების, თუნდაც დიპლომატიურის (რომ არაფერი ვთქვათ სამხედრო დახმარებაზე) იმედი არ უნდა ჰქონოდათ. პატარა, სუსტი საქართველოსთვის, თან ზ.გამსახურდიას დროს ცუდად წარმოჩენილი ქვეყნისთვის, დიდ რუსეთთან (იმპერიის დაშლის მიუხედავად მაინც დიდთან) ბრძოლას არავინ აპირებდა.

ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი სხვა მხარეს მიაწყდა. იგი ადრეც უმღეროდა ელცინს დითირამბებს და მეგობრობას ეფიცებოდა, ახლა კი პირდაპირ და ღიად აიღო რუსეთთან დაახლოების კურსი.

რუსეთს კი ჩვენთან კავშირის შეკვრის, მეგობრული ხელშეკრულებების დადებისა და კრიტიკულ მომენტში ბედის ანაბარა მიტოვების ძველი ტრადიცია აქვს. გავიხსენოთ, როგორ მოექცა პეტრე I ვახტანგ VI-ს, ან გენერალი ტოტლებენი ერეკლე II-ს. რუსეთი გვტოვებდა ეროვნული კატასტროფის ზღვარზე, რომ შემდეგ დიდი წინააღმდეგობის გარეშე დაგვპატრონებოდა.

მგზნებარე სიყვარულსა და მეგობრობაზე ჩვენი ფიცის მოწყალედ მიღების შემდეგ (აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მხოლოდ შევარდნაძისა და მისი გუნდისაგან არ ისმოდა ასეთი ფიცმტკიცებანი) რუსეთის პრეზიდენტი ბუნდოვნად ბუტბუტებდა რაღაცას საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობაზე, მისი უფლებების აღიარებაზე და ა.შ. და ამასთანავე, უშვებდა მას, რომ მთავარსარდლის დაქვემდებარებაში მყოფი ფაშისტურად მოქმედი რუსეთის გენერლები უახლესი სამხედრო ტექნიკით აიარაღებდნენ აფსუა ამბოხებულებს და ახმარდნენ დამკვრელ რუსულ ძალებს, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან უწყვეტ ნაკადად რომ მოედინებოდნენ ე.წ. „კაზაკები" და „ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ერივნების „ბოევიკები".

მსოფლიო სახელის მქონე გავლენიან პოლიტოლოგს, აშშ პრეზიდენტის ყოფილ თანაშემწეს უსაფრთხოების დარგში ზბიგნევ ბჟეზინსკის ტყუილად ხომ არ შეუფასებია რუსეთის ქმედება საქართველოში, როგორც ინტერვენცია (სტატია დაიბეჭდა ფრიად ავტორიტეტულ ჟურნალში „ფორინ ეფეარს", გადმობეჭდა მაშინვე „ნოვაია გაზეტამ" 1994 წ. აპრილში).

ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის საქციელი კი იმ კრიტიკულ თვეებში დიდ გაკვირვებას იწვევდა, რბილად რომ ვთქვათ...

ქვეყანაში გუდაუთის ხროვის სათავეში მყოფი რუსეთის სპეცსამსახურის აგენტის, საქართველოს ულმობელი მტრის ვლადისლავ არძინბას მიერ დაწყებული სამხედრო კონფლიქტი მძვინვარებდა, ხოლო ე.შევარდნაძეს არაფრით არ სურდა რეგულარული ჯარის შექმნა. მხოლოდ ამ სიტყვების ავტორმა სამი წერილით მიმართა მას, რომლებიც მას ხელიდან ხელში გადასცეს. თან მხოლოდ მე ხომ არ ვხვდებოდი, რომ სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანი რეგულარული არმია სჭირდება. რაღა თქმა უნდა, მას ეუბნებოდნენ და წერდნენ სხვებიც, სამხედრო საკითხებში ჩემზე უფრო კომპეტენტურები, არაერთხელ დასვეს ეს საკითხი პარლამენტში ოპოზიციის წარმომადგენლებმა, მაგრამ ამაო იყო ყოველი.

არ სურდა უმაღლეს მთავარსარდალს რეგულარული ქართული ჯარის შექმნა და მორჩა!

ნაცვლად ამისა, საერთაშორისო იმიჯის შესანარჩუნებლად (კარგია, თუ მხოლოდ ამისთვის) ის მოლაპარაკებებს მართავდა გუდაუთელი სეპარატისტების ამბოხებულ ხროვასთან.

მოსკოვში ბ.ელცინის ეგიდით ჩატარებული პირველი ასეთი შეხვედრა დაიწყო ხელშეკრულების დადებით, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა, ამ შეხვედრის ფინალი გაგრის კატასტროფა აღმოჩნდა, როცა გაუწვრთნელი, მცირერიცხოვანი ქართული სამხედრო ნაწილები გაანადგურეს უკვე არა მარტო აფსუა, არამედ ჩრდილოკავკასიელი „ბოევიკების" და „კაზაკების" ძალებმა, როგორც მშიერი მგლის ხროვა, ისე რომ შემოესია აფხაზეთს. მხდალი თვალთმაქცობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, რომ არ მოვიხსენიო ოპერაციაში ყველაზე თანამედროვე რუსული ტანკების (T—80, T—72) მონაწილეობა,

აგრეთვე ისიც, რომ მთელს გაგრის ოპერაციას ხელმძღვანელობდა მაღალი თანამდებობის რუსეთის გენერალი.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ დანაშაულებრივი უდარდელობა გამოამჟღავნა (სხვა სიტყვის ხმარებისაგან თავს შევიკავებ). ხომ აფრთხილებდნენ უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობას, რომ ბიჭვინთის ზონაში 7 ათასამდე მოწინააღმდეგის მებრძოლია, ხოლო ქ.გაგრის კომენდანტი ბ.ფიცხელიანი სულ ითხოვდა დამხმარე ძალას. ამის ნაცვლად მას იმ ნამცეცებსაც ართმევდნენ, რაც მის განკარგულებაში იყო. ეს აღიარა ერთერთ ტელეგამოსვლაში ე.შევარდნაძემ.

ამას რა დავარქვათ?

შედეგად, გაგრა 3 ოქტომბერს აიღეს და ქართული მოსახლეობის საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. მხეცური მეთოდებით მოკლეს 1000 ქართველზე მეტი. ხალხს თავს ჰკვეთდნენ და ფეხბურთს თამაშობდნენ, აკეთებდნენ აფხაზურ ჰალსტუხებს (მხვერპლს გადაჰჭრიდნენ ყელს და ენა განაჭერში გადმოდიოდა), აუპატიურებდნენ ქალებს და გოგონებს).

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამას სჩადიოდნენ ადამიანები, თუნდაც სიძულვილისაგან სატანის კერძად ქცეული აფსუა ბარბაროსები, მაგრამ არიან ცოცხალი მოწმეები; რუსეთის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა ჯგუფიც, რომელთა შორისაც არიან ო.ეფრემოვი, მ.ზახაროვი, ო.ტაბაკოვი, ო.ლებედინსკაია, სულ ასამდე კაცი, ელცინისადმი მიწერილ აღმაშფოთებელ წერილში, რომელიც „იზვესტიაში" გამოქვეყნდა, წერს ამის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს კი რუსეთის ტელევიზიაში არაერთხელ გამოსვლისას ერთხელაც არ წამოსცდენია რაიმე გაგრის კოშმარზე.

რა გიშლიდათ ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგებად გეთქვათ რაიმე ამაზე, ბ-ნო შევარდნაძე?

საერთოდ ჩვენი სახელმწიფოს მეთაური საოცარ სწრაფვას ამჟღავნებს მოლაპარაკებასა და კომპრომისებისაკენ, იმ სადაო საკითხების „პოლიტიკური მოწესრიგებისაკენ", რომელთაც გუდაუთის ხროვის მიერ ჩადენილი დანაშაულებების შემდეგ მშვიდობიანი გადაწყვეტა აღარ აქვს.

პრინციპში, მოლაპარაკება კარგი საქმეა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა მიხვდე, ვისთან გაქვს საქმე. მათ ხომ მორალი, პრინციპები არა აქვთ, მთელი მათი თეორია შუა საუკუნეებში აფხაზური დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის შესახებ ყველასთვის ნათელი ტყუილია: რა ენაზე წერდნენ კანონებს, გამოსცემდნენ ბრძანებულებებს და სხვ. დოკუმენტებს ამ არარსებული „დამოუკიდებელი" სახელმწიფოს მმართველები, როცა აფსუების დამწერლობის ერთ-ერთი შემქმნელი, როგორც ზემოთ ვთქვით, აკადემიკოსი ა.შანიძე სულ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა?

ჩვენი სახელმწიფოს მეთაური კი ჯიუტად აგრძელებდა აფხაზური პრობლემის „პოლიტიკური გადაწყვეტის" ძიებას და რუსეთს სულ უფრო მეტ საფუძველს აძლევდა, ჩარეულიყო ჩვენს საშინაო საქმეებში.

ამ ტენდენციის აპოგეა იყო პარლამენტის ის სხდომა, როცა „პატრონის" ერთგულმა უმრავლესობამ არ მიიღო პროფესორ ნ.ნათაძის შესწორება. ამ შესწორებაზე უარის თქმით პარლამენტმა რუსეთის სამხედრო ძალებს მისცა საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად თავისუფალი გადაადგილების უფლება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაშინ საქართველომ კვლავ დაკარგა მოპოვებული დამოუკიდებლობა, რაზეც ქართველი ერის საუკეთესო შვილები 200 წელი ოცნებობდნენ.

თქვენს ამ პოზიციას რაღა დავარქვათ, ბ-ნო შევარდნაძე?

გუდაუთის ხროვასთან ყოველ ახალ შეხვედრას აფსუა სამხედრო დამნაშავეებთან მორიგი დათმობები მოჰყვება. მათი უთავბოლო და უაზრო მოთხოვნები ხანდახან რუსეთის მხარის წარმომადგენლებისა და რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაღიზიანებასაც კი იწვევენ. მაგრამ ... გადის რამდენიმე დღე და ეს მოთხოვნები ხელმოწერილი დოკუმენტის სახეს იღებენ.

მოვიყვან მხოლოდ ერთ, განსაკუთრებით აღმაშფოთებელ მაგალითს: მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის დაწოლის გამო და ანტიქართული გენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბატონო შევარდნაძევ?

ციდის შთაბეჭდილებათა მიჩქმალვისათვის, აფსუათა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ეთანხმებიან ქართველების გალის რაიონში დაბრუნებას; მაგრამ შერჩევით — ის ქართველები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ საკუთარი მიწისა და ოჯახების დასაცავად აფსუა-ჩრდილოკავკასიური და ფაშისტური რუსული კოალიციის წინააღმდეგ, სახლში დაბრუნების უფლებას კარგავდნენ.

შეიძლება ქართულ ეროვნულ ღირსებას უფრო დიდი შეურაცხყოფა მიაყენო? ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა კი, რომელთაც კვლავ შეაფურთხეს, სახე მოიწმინდეს და ჩუმად დაეთანხმნენ ამ დამამცირებელ მოთხოვნას.

ბ-ნო კაპიტულანტებო, გაქვთ თქვენ თავმოყვარეობის წვეთი მაინც, ფიქრობთ, რა დამცირებისთვის გაიმეტეთ ქართველი ხალხი? თქვენ იცით, რომ პარლამენტში „პატრონის" მრნა-მორჩილი უმრავლესობის გარდა სხედან ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც სახელობით კენჭისყრას მოითხოვენ და ამიტომაც გვერდს უვლით პარლამენტს.

თქვენი უმრავლესობა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც არჩევნებზე ხელოვნურად შექმნილ ფორმალის ამ პროცედურითა და ამომრჩეველთა უმრავლესობის პოლიტიკური უწიგნურობის ხარჯზე, აგრეთვე, ზოგიერთი საზღვარგარეთელი პოლიტიკური მოღვაწის თქვენი ხელმძღვანელის პატივისცემის გარეგნული ნიშნების პირველი ეიფორიის გამო მოიპოვეთ, ნელ-ნელა დნება. ორ-სამჯერ უკვე აღმოჩნდით პარლამენტში უმცირესობაში და კიდევ რამდენჯერმე ვერ გაბედეთ საკითხის კენჭისყრაზე დასმა ასე რომ, პარლამენტისაგან კომუნიზმისდროინდელი აკ შექმნის მცდელობა ჩაგიფლავდათ.

რა თქმა უნდა, ტელევიზია — საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ეს უძლიერესი საშუალება თქვენს ხელთაა, მაგრამ ახლოვდება დღე, როცა თქვენ იძულებულნი გახდებით, დათმოთ ეს პრივილეგია და ეკრანს მიიღებენ ოპოზიციის მოღვაწენი, რომლებიც ამჟამად იშვიათად ახერხებენ ამ საშუალებით სარგებლობას.

აი, მაშინ ქართველ ხალხს განუმარტავენ, ვინ იქცევა დესტრუქციულად და სპობს საქართველოს დამოუკიდებლობას და ვინ იცავს სამშობლოს ღირსებასა და პატივს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფ ახსოვს, მაინც არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ის, თუ რამ ითამაშა გადამწყვეტი, საბედისწერო როლი სოხუმის დაცემასა და მთელი აფხაზეთის დროებით დაკარგვაში. ლაპარაკია 1993 წ. 27 ივლისის შეთანხმებაზე, როცა რუსეთის პასტუხოვის ტიპის „მშვიდობის დამცველთა" დაწოლის შედეგად შეთანხმდნენ საბრძოლო მოქმედებების ზონიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანის შესახებ.

მოწინააღმდეგემ თავისი ტექნიკა ახალ ათონში, სოხუმიდან 15 კმ... გაიყვანა, ჩვენმა ხელმძღვანელობამ კი მისი „სამშვიდობო" მისწრაფებების გამო, სინამდვილეში კი მოსკოვის საამებლად ჩვენი მძიმე ტექნიკა ფოთში, საბრძოლო ზონიდან 100 კმ მოშორებით გამოიყვანა, ამასთანავე ფრონტსა და ფოთს შორის ტერიტორიას მაშინ ზვიადისტები განაგებდნენ. თან რუსულ მხარეს ამერიკული დოლარები გადაუხადეს რუსული გემებით ჩვენი ტექნიკის გამოყვანისათვის, ანუ მტრის წინაშე უიარაღოდ დარჩენისათვის.

მხოლოდ გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანს შეეძლო დაეჯერებია, რომ აქამდე ყველა ხელმოწერილი შეთანხმების დამრღვევი აფსუა სამხედრო დამნაშავეები მაინცდამაინც ამ ბოლო შეთანხმებას დაიცავდნენ.

ყოველივე ამის შედეგად სოხუმის ჩვენი დამცველები დარჩნენ ავტომატებით მოწინააღმდეგის უძლიერესი ტექნიკის პირისპირ, არადა, ჯერ კიდევ 15-17 მარტს გუმისთაზე გადმოსული აფსუათა განადგურების შემდეგ გუდაუთაზე გზა ხომ თავისუფალი იყო. ქართველი მეთაურები მოითხოვდნენ უკანგაქცეული მტრის დევნას, ფართომასშტაბიან კონტრშეტევაზე გადასვლას (გ.ადამიასა და სხვათა მოთხოვნები ტელევიზიითაც კი გადასცეს), მაგრამ მთავარსარდალმა ნება არ დართო.

ამას რაღა დავარქვათ, ბ-ნო შევარდნაძე?

ამის ნაცვლად, იგი კვლავ რუსეთის ფედერაციას ემსახურებოდა, არწმუნებდა, რომ გუდაუთის აღებას ის არ დაუშვებდა.

სწორედ ამ დროს რუსეთიდან გუდაუთელი ამბოხებულების განკარგულებაში უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ის მძიმე სამხედრო საბრძოლო ტექნიკა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს დამარცხებაში. ამ საშიშროებაზე დროულად ატყობინებდა ხელმძღვანელობას ჩვენი დაზვერვა, მაგრამ ჩვენი მხრიდან არავითარ ზომებს არ იღებდნენ.

ეს რაღაა ბ-ნო შევარდნაძე?

„მშვიდობისმყოფელმა მხარემ" კი, რაკი ვერ ენდობოდა მისი აფსუა-ჩრდილოკავკასიელი ხელქვეითების საბრძოლო შესაძლებლობებს, რომლებიც გვარიანად შეიფერთხნენ და შეილახნენ ქართულ თავდაცვით ძალებთან ბრძოლებში, გადმოისროლა გადამწყვეტი დარტყმისათვის განსაკუთრებული დანიშნულების ფსკოვის მე-10 დივიზია. ბომბორაში კარგა ხანია უკვე მდგარი საპარაშუტო-სადესანტო პოლკზე დასამატებლად.

ტელევიზიას ეს პირდაპირ განუცხადა ჩვენს მიერ ტყვედ აყვანილმა ამ დივიზიის პოლკოვნიკმა მიხეილ დემიდოვმა.

მათ — რუსულმა ნაწილებმა — სოხუმი დაიპყრეს 11 დღიანი, უწყვეტი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, რომელსაც ქართული სამხედრო ნაწილები მხოლოდ კალაშნიკოვით ებრძოდნენ.

მე კარგად ვიცი სამხედრო ისტორია და კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ცოცხალ და საცეცხლე ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში მსოფლიოს ვერც ერთი არმია, თვით გერმანულიც კი, ვერ გაუძლებდა, სოხუმის მამაცი დამცველები, ფაქტიურად უიარაღონი, თერთმეტი დღე იცავდნენ ფრონტს.

ყოველივე ამის შემდეგ, გამოჩნდა ხალხი, ძირითადად „მოქალაქეთა კავშირიდან", რომლებიც საყვედურობენ მეომრებს, რომ მათ მიატოვეს ფრონტი და ფაქტიურად უბრძოლველად დაუთმეს მოწინააღმდეგეს დანარჩენი აფხაზეთი. რას ჩასჭიდებოდნენ? რატომ არ იყო თავდაცვის მეორე და მესამე ხაზი, ვთქვათ — კოდორზე და ღალიძგაზე?

თავდაცვითი ოპერაციების დროს ასეთი სარეზერვო ხაზები რომ უნდა შეიქმნას, იცის ყველა ლეიტენანტმა, რომელსაც უმცროსი და საშუალო მეთაურთა მომამზადებელი სამხედრო სასწავლებელი დაუმთავრებია, მაგრამ ჩვენმა მთავარსარდალმა, ეტყობა ეს არ იცოდა და არც არაფერი გაუკეთებია. რატომ არ გაკეთდა? ამ კითხვაზე პასუხის მიღებაც სასურველია.

რას შვრება ომის წამგები მთავარსარდალი (ის თვლის, რომ ომი წაგებულია, სინამდვილეში მხოლოდ ომის პირველი ფაზაა წაგებული)? გადადგება. ჩვენმა მთავარსარდალმა აიღო პასუხისმგებლობა დამარცხებაზე? არა, ის მებრძოლებს ადანაშაულებს და ღალატზეც კი დაიწყო ლაპარაკი. ღალატი იქნებ იყო კიდეც, მაგრამ არა იმ მიმართულებით, საითაც მიგვითითებენ.

სად იყო თქვენი კონტრდაზვერვის ორგანოები, ბ-ნო შევარდნაძე?

საერთოდ, ისინი რას აკეთებენ? ახლახან ხომ ერთი კვირის განმავლობაში დაცხრილეს „მხედრიონის", ბრძოლისუნარიანობის თვალსაზრისით საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილის თითქმის მთელი ხელმძღვანელობა. ათობით მოწმის თვალწინ ჩახოცეს ქვეყნის 4 დამცველი. ზოგი მოწმე ამბობდა, რომ ამოიცნობდა მკვლელებს. საერთოდ, ჩვენთვის, ხალხისათვის უცნობია, ძიება რეალურად მიმდინარეობს თუ არა. ყველა ტერორისტული აქტი მსხვერპლთა სიკვდილით დასრულდა. ე.ი. დანაშაულს უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალები ჩადიოდნენ. ასეთი ბევრი ვერ იქნება იარაღის უკანონო მტარებელთა შორის და ძებნაში (თქვენ ხომ შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობდით და უნდა იცოდეთ ასეთი ილეთი) გამორიცხვის მეთოდით პირდაპირ მკვლელებზე გასვლა შეიძლება.

ჩვენს ხელისუფლებას კი ეს არ ადარდებს. იგი აფხაზეთის კრიზისის „ყოვლისმომცველი" მშვიდობიანი გადაწყვეტის ძებნითაა დაკავებული.

მითხარით, ბ-ნო კაპიტულანტებო და შემარიგებელნო, თქვენგან რომელი შეძლებს კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას კაცთან, რომელმაც მოგიკლათ დედა, შეურაცხგიყოთ, მამის საფლავი, გაგიუპატიურათ მეუღლე ან ქალიშვილი, ხოლო თქვენ საკუთარი სახლიდან გაგაძევათ?

გუდაუთელ ბანდიტებთან დამამცირებელი მოლაპარაკებით თქვენ ხომ აფხაზეთის ქართველებისაგან სწორედ ამას მოითხოვთ? თან ამას ისე დამაჯერებლად აკეთებთ, გაეროს წარმომადგენლებიც კი დაარწმუნეთ, რომ პრობლემის ასე გადაჭრა შესაძლებელია.

სახელმწიფოს მეთაურის ხმაურიანმა განცხადებებმა, რომ აფხაზეთს მიენიჭება გაფართოებული უფლებები, გამოიწვია საქართველოს სავარაუდო მოწყობა. გაეროს გენერალური მდივნის ცნობილი პროექტი, რომელიც მკვეთრად უარყოფითად აღიქვა ქართული საზოგადოების პატრიოტულმა ძალებმა. ბ-ნ ბუტროს გალისთვის უნდა გაეცათ პასუხი, რომ საქართველოს საშინაო მოწყობის საკითხი არ შედის გაეროს კომპეტენციაში.

ასეთი განცხადება იქნებოდა დიდი პოლიტიკის აქტი. ჩვენი ხელმძღვანელობა კი, პოზიციების პოზიციებზე დათმობის შედეგად იქამდეც დაეშვა, რომ ჩვენს მიერ წარმატებით დაცული კოდორის ხეობიდან — აფხაზეთის ტერიტორიის უკანასკნელი მტკაველი მიწიდანაც კი გამოჰყავს სამხედრო ნაწილები იმის მიუხედავად, რომ აფსუები აგრძელებენ გალის რაიონში დაბრუნებული ქართველი დევნილების ჯგუფების აწიოკებას.

13 ივლისს პროგრამა „ვესტნიკმა" გვაცნობა და ასეთი ინფორმაციები საქართველოს ტელევიზიით მანამდეც იყო, რომ აფსუა ბანდიტებმა დაარბიეს ორი ქართული სოფელი გალის რაიონში. ჯერ ცოცხლად გადარჩენილი მამაკაცები დახოცეს, სახლები გაძარცვეს და დაწვეს, ქალთა ბედზე მარჩიელობა არც კი მოგინდება. რამდენი ასეული, ან იქნებ ათასეული ქართველი უნდა მოკლან ველურებმა, რომ სახელმწიფოს „ბრძენი" ხელისუფლება მიხვდეს, რომ მათთან მოლაპარაკება უაზრობაა?

თქვენ კი ბ-ნო კაპიტულანტებო, გაწვევის ასაკის შვილები რომ საიმედოდ დამალეთ, მოლაპარაკებათა გაგრძელებას დაბეჯითებით მოითხოვთ — უკვე საქართველოს ფედერაციულ მოწყობაზე, იქნებ კონფედერაციაზე არის უკვე საუბარი. ეს ხდება არა მარტო ასეთი მიდგომებით დაინტერესებული რუსეთის ფედერაციის, არამედ გაეროს წარმომადგენელთა თანდასწრებით. გაერო ადრე მყარად იდგა საქართველოს დამოუკიდებლობის და ერთიანობის პოზიციაზე, ახლა კი, რადგან ჩვენი წარმომადგენლები ყველაფერზე დამყოლნი არიან, უკვე შემოთავაზებული ვარიანტისკენ იხრებიან. საქართველოს დაყოფა, რომ ქართული სახელმწიფოს დასასრული იქნება, ეს ჩვენს კაპიტულანტებს არ აწუხებთ. მთავარია მშვიდად იძინონ, კარგად მიირთვან, ბევრი დალიონ, სადღეგრძელოში არ დაავიწყდებათ „ჩვენი საქართველო".

მინდა ვკითხო ასეთ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს: „სანამდე ვიქნებით ასე მოტყუებულნი? ეს ხომ პლიაჟზე „დურაკას" თამაში არ არის, ეს ხომ პოზიციაა, რომელმაც ქართველ ხალხს უკვე ათიათასობით მსხვერპლი მოუტანა. იმ მცირერიცხოვან ქართველთაგან, რომლებიც დღეს აფხაზეთში არიან, არც ერთი არაა უსაფრთხოდ. მათ კლავენ, ძარცვავენ, აუპატიურებენ „მშვიდობისმყოფელი" რუსების თვალწინ. ამას გარდა, აშზადებენ საანკეტო ბარათებს, რომლებშიაც დაბრუნებულმა ქართველებმა უნდა დადონ პირობა, რომ უიარაღოდ ბრუნდებიან — ე.ი 48 მოსახლეობისა რჩება უიარაღო 17 შეიარაღებული აფსუების პირისპირ, რომლებიც არც მალავენ აგრესიულ ზრახვებს.

ამ თქვენს პოზიციას რა დავარქვათ, ბ-ნო კაპიტულანტებო? ხალხში ბევრი თქვენს პოლიტიკას მოღალატურს ეძახის. მათი რაოდენობა სულ უფრო იზრდება. მე არ მინდა ეს სიტყვა ვიხმარო, რადგან მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც ვაჟკაცურად იბრძოლეს აფხაზეთისთვის. თქვენ რაღამ გაიძულათ ამ ულირს გზაზე დადგომა?

როცა კამათობ აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის მომხრეებთან და ეუბნები, რომ თავს პატივს არ უნდა სცემდე, რომ მკვლელებთან და სამხედრო დამნაშავეებთან დაჯდე მაგიდასთან, ჩვეულებრივ გპასუხობენ, რომ სხვა გამოსავალი არ არის, რომ ჩვენ უძლურნი ვართ სამხედრო გზით გადავჭრათ აფხაზეთის პრობლემა, რომ არ გვყავს სამხედრო ძალები. რა თქმა უნდა, ბიუჯეტიდან (ისიც ხომ ოდნავადაც ვერ ასახავს რეალურ შესაძლებლობებს) თუ თავდაცვაზე რამდენიმე პროცენტს გამოყოფ, არმიას ვერ შექმნი. ვინ არის ასეთი სამარცხვინო მდგომარეობის გამო დამნაშავე? ახლანდელი ხელისუფლება ხომ ორწელიწადნახევარია არსებობს და რეგულარული არმიის შექმნა მხოლოდ ორი თვის წინ დაიწყო, როცა დღევანდელმა ხელისუფლებამ დაინახა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება და ძველი ხაზის გაგრძელებას შეიძლება ცუდი დასასრული მოჰყვეს.

მაგრამ ჯარის შექმნა მაინც გულის ფანცქალით მიმდინარეობს, ნამდვილი გაწვევა ჯარში არ ხდება. როგორც ტელეინტერვიუში ბრძანა თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ვ.ნადიბაიძემ, ამჟამად ჩვენ იარაღის ქვეშ გვყავს 15-17 ათასი ახალგაზრდა, რომელიც სამხედრო წვრთნას გადის. ეს მაშინ, როცა ჩვენს მეზობლებს — სომხებს 36 ათასიანი ჯარი (ყარაბაღის სამხედრო ძალების გარეშე), ხოლო აზერბაიჯანლებს — 56 ათასიანი არმია ჰყავთ.

ასეთი ცუდად შეიარაღებული ძალებით აპირებთ თქვენ დაცვას ქვეყნისას, რომელსაც სახმელეთო საზღვრის მთელს პერიმეტრზე არც ერთი მშვიდი, სრულიად უსაფრთხო უბანიც კი არა აქვს, საქართველოს შიგნით კი საომარი მოქმედებების მეორე ფაზა მოგველის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში (აფხაზეთში), საიდანაც უნდა გავყაროთ „დაუპატიჟებელი სტუმრები" ჩრდილო კავკასიიდან, „კაზაკები" და სხვა უწმინდურნი, მშიერი მგლის ხროვის დარად რომ შემოესიენ საქართველოს. გენოციდში მონაწილე აფსუები კი ჯეროვნად უნდა დაისაჯონ, რადგან უნდა გავიგოთ უტყუარი ისტორიული ჭეშმარიტება: ხალხი, რომელმაც დაუსჯელი დატოვა ბოროტება, განწირულია ათმაგად მძიმედ განიცადოს იგი ხელახლა.

ანგარიში წარდგენილი იქნება და ვალების პროცენტით გადახდას ვერ აცდებიან; პროცენტიც ისეთი იქნება, რომ თავდაპირველი კაპიტალისაგან ბევრი არაფერი დარჩება.

თქვენ კი, ბ-ნო არძინბა, თქვენს დანაშაულობათა უახლეს თანამზრახველებთან ერთად სახრჩობელა გელით, როცა აღარ დაჭირდებით მათ, ვისაც ახლა ემსახურებით.

აი, ასე!

თბილისი,
15 ივლისი, 1994 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იდეოლოგიისა და სტრატეგიის სათავეებთან

ნოდარ ნათაძე

ამ სათაურით გადაწყვიტა გაზეთმა „საქართველომ" შემოიღოს ახალი რუბრიკა, რომლითაც გამოქვეყნდება განზოგადებული წერილები ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა და პოლიტიკის მწვავე საკითხებზე. იდეოლოგია სხვა არა არის რა, თუ არა ცალკე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის შეხედულებათა მთელი სისტემა იმაზე, თუ რა ვარ ან რანი ვართ, რისთვის ვარ ან რისთვის ვართ, რა მმართებს ან რა გვმართებს, რითაა გამართლებული ჩემი ყოფნა ან ჩვენი ყოფნა ამ ქვეყნად. უიდეოლოგიოდ არ არსებობს ადამიანი, და არ არსებობს ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელიც რაღაცას ცდილობს ან რაღაცისკენ ისწრაფვის. ერსაც, რომელიც რაღაცისთვის იბრძვის, რაღაცის შენარჩუნება ჰსურს ან რაღაცას უფრთხილდება (სხვაგვარი ერი კი არ არსებობს), თავისი იდეოლოგია აქვს. დღეს ჩვენს ეროვნულ თვითცნობიერებაში, ჩვენი თავის გაგებასა და შეფასებაში, ჩვენი ახლო და შორი მიზნების განსაზღვრაში აზრთა დიდი სიჭრელე არსებობს. ჩვენი რუბრიკის მიზანია, თავი მოუყაროს ამ აზრებს და სისტემაში მოიყვანოს ისინი, დისკუსიის გზით მიაგნოს ყველაზე არსებით ძარღვს ყოველივე იმაში, რასაც ჩვენი თანამემამულეები დღეს ფიქრობენ ჩვენი ერისა და სახელმწიფოს ამოცანების, ჩვენი რაობის თვისების, ჩვენი მოწოდებისა თუ დანიშნულების შესახებ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ნოდარ ნათაძის რამდენსამე ფრაგმენტულ მოსაზრებას ამ თემებზე.

## I. ისტორიის მასხარები

(წითლების ანტიეროვნული იდეოლოგია საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების გაუქმებამდე და მისი რესტავრაციის შემდეგ)

რუსული კომუნისტური იმპერიის, ანუ ოქტომბრის შემდეგ განახლებული რუსული იმპერიის იდეოლოგია ძლიერი იყო თავისი ზოგადობით ანუ თავისი ლოზუნგების ზოგად-ადამიანური მიმართულობით. ეს იდეოლოგია აღარ ამბობდა ძველი რუსეთივით, ჩვენ, რუსებს გვჭირდება დიდ ზესახელმწიფოდ ყოფნა და ამიტომ ვიპყრობთ სხვა ხალხებსა და ტერიტორიებსო. საბჭოთა ეპოქის იდეოლოგია ამბობდა: „ყველა ადამიანს სჭირდება სოციალური თანასწორობა, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლება და ა. შ. ანუ ის, რაც სიტყვებში „სოციალიზმი" და „კომუნიზმი" იგულისხმება. სოციალიზმი და შემდეგ — კომუნიზმი კაცობრიობის გარდუვალი მომავალია, მეცნიერების მიერ აღმოჩენილი. მაშ ვიომოთ მათ დასამკვიდრებლად და თუ ამისთვის ოციოდე მილიონი ადამიანი გაიწირება სასიკვდილოდ და ოციოდე ერი — გასაქრობად (საასიმილაციოდ), ეს იმ დიდ იდეალთან შედარებით არაფერია." ლოზუნგებისა და მიზნების ეს ზოგადობა განუზომელ უპირატესობას აძლევდა საბჭოთა იდეოლოგიას ძველ რუსულ იდეოლოგიასთან შედარებითაც მისი პრინციპებითურთ — „თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა, ხალხურობა" და სხვა თანამედროვე დიქტატორულ იდეოლოგიებთან შედარებითაც, მაგალითად, ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიასთან, რომელიც კერძოდ და საკუთრად გერმანელი ერის ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად (და არა ადამიანისას საერთოდ). მშვიდობის დაცვის ლოზუნგი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემოვიდა ხმარებაში, ისევ ზოგადადამიანური ფასეულობის განაცხადით გამოდიოდა: მშვიდობა ადამიანებისთვის მთავარია, ამიტომ ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ იხმაროთ იარაღი, ან არ შეუწყოთ ხელი ომს, თუნდაც იგი თქვენი ქვეყნის განთავისუფლებისთვის გჭირდებოდეთ. ამ ორ ლოზუნგთან შედარებით — „გაუმარჯოს კომუნიზმს" და „გაუმარჯოს მშვიდობას" — ეროვნული ინტერესების დაცვა შეზღუდულობად („ეროვნულ შეზღუდულობად") იყო აღიარებული. რუსების „უფროსი ძმობა" ერთა საბჭოურ ოჯახშიც და მსოფლიოშიც იმით იყო არგუმენტირებული, რომ სოციალიზმის მედროშენიც და მშვიდობის მედროშენიც ისინი იყვნენ. მაგრამ სხვა ერთა ინტერესების შელახვას ეს იდეოლოგია მაინც ერიდებოდა. ღიად არავინ ამბობდა „გაუმარჯოს კომუნიზმს, ჯანდაბას მცირე ერებიო". ითვლებოდა, რომ ყველა ერის ეროვნული ინტერესები დაცულია („სოციალიზმის ბანაკში ყველა ერი თვითგამორკვეული და დაკმაყოფილებულიაო"), თუმცა ამ „ინტერნაციონალისტურ" ფონზე მაინც ხდებოდა — ძალიან ფრთხილად, მცირე და მომცრო ერთა თანდათანობითი გაქრობის, დიდ ერებთან (უპირატესად რუსებთან) მათი მომავალი გარდუვალი ასიმილაციის იდეის შემოპარება, რაც ისეთ გამოთქმებში გამოიხატებოდა, როგორიცაა „ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი" და სხვა ამგვარები.

იმპერიული იდეოლოგიის ეს ეტაპი უსახელოდ დასრულდა თვით იმპერიის ნგრევის პროცესთან ერთად. აღმოჩნდა, რომ მისი ორივე საყრდენი — „სოციალიზმიც" და „მშვიდობაც" — ბლეფი ყოფილა. რაკი საბჭოთა კავშირის „სოციალიზმი" სხვა არა იყო რა, თუ არა ექსპლოატაციის ასწილად გაძლიერებული და ცივილიზირებული სისტემა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კლასიკური აღმოსავლური დესპოტია, „მშვიდობა" კი — სხვა არაფერი თუ არა ზრდილობიანი სიტყვებით შენიღბული „მცოცავი" აგრესია სხვათა მიმართ, რუსეთი იძულებული გახდა ეღიარებინა ეს მარტივი ჭეშმარიტებები და სწორედ ეს იყო საბჭოთა კავშირში სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე აყვანილი დისიდენტობის შინაარსი. რუსეთის დადებითი იმიჯის შექმნა გამარჯვებული დასავლეთის თვალში სწორედ ამ დისიდენტურ რუსეთს, „მეორე, დემოკრატიულ რუსეთს" დაეკისრა.

მაგრამ იმპერიას რომ ის ორადორი იდეოლოგიური საყრდენი გამოეცალა, ბუნებრივად დადგა კითხვა: თუ საბჭოთა კავშირის ხალხებს არა აქვთ ერთობლივი მიზანი — სოციალიზმის აშენება და, აქედან გამომდინარე, მშვიდობის დაცვა — მაშ რაღა საჭიროა მათი ერთ სახელმწიფოდ ყოფნა?

ამ აშკარა იდეოლოგიურ ვაკუუმს რუსი დისიდენტები რამდენიმე სუროგატით ავსებდნენ. ერთის მხრივ, ცნობილი ალგებრაისტი და დისიდენტი შაფარევიჩი წერდა, საბჭოთა კავშირს ნუ დავშლით, ვინ იცის, ეგებ მისმა შემადგენელმა ხალხებმა უკვე „რაღაცა მისტიკური ერთობა" შეადგინესო, მეორე მხრივ, ეროვნული თავისუფლების თემას დუმილით გვერდს უვლიდნენ და ამბობდნენ (ან გულისხმობდნენ), რა დროს ეროვნული ინტერესია, აგერ სოციალიზმს ვანგრევთ და ადამიანს მის ადამიანურ სახეს ვუბრუნებთო (ადამიანური სახე რომ ეროვნულად დაუჩაგრავ ადამიანს გულისხმობს, ეს აზრადაც არ მოსდიოდათ). ძალაში დარჩა — თუმცა ცოტა მიყრუებულ ტონალობაში — იმპერიული პროპაგანდის უძველესი ფორმაც: რა გინდათ, ხომ კარგად ხართ მოვლილნი ამ იმპერიაში, პოლიტიკურად თვითგამორკვეულნი და ეროვნულ კულტურით აღჭურვილნიო.

დაიშალა საბჭოთა კავშირი და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პროიმპერიული ძალები იდეოლოგიურ მარტოობაში დარჩნენ, მათ შორის, რა თქმა უნდა, ამ ძალების ყველაზე მახინჯი რაზმიც — საქართველოს რუსოფილური ფენები. „უფროსმა ძმამ" საქვეყნოდ გამოაცხადა, იმპერია აღარ მინდაო, და „უმცროს ძმებს" დაუტოვა იმის გადაწყვეტა, თუ როგორ დაასაბუთონ „იმპერია ახლა ჩვენ გვინდაო, თავისუფლება რაში გვჭირდება, ისევ უმცროსი ძმების როლი გვირჩევნიაო".

ამას უმცროსი ძმები პირდაპირ ვერ იტყოდნენ, რადგან ამ დროს უკვე ყველამ იცოდა, რომ იმპერია, როგორც ადამიანთა ცხოვრების ფორმა, განწირულია. ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ, ეროვნული თავისუფლების ლოზუნგს მიტმასნოდნენ და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის სიმულაცია მოეხდინათ. ამ სიმულაციის ფონზე კი ნელ-ნელა წამოსწიეს იმპერიაში დაბრუნების ახალი იდეოლოგია — ერთადერთი, რომლითაც ჯერ კიდევ შეიძლება გაამართლო საკუთარი მისწრაფება უცხოელთა მონობისაკენ: იმპერია, რა თქმა უნდა, უბედურებაა, მაგრამ უმცირესი უბედურება, მის გარეთ შიმშილი და ეკონომიკური ნგრევა მოგველისო. ეს ყალბი ილეთი სრულად გამოიყენეს ქართველმა რესტავრირებულმა კომუნისტებმა და იგი კვლავ მათ იდეურ შეიარაღებაშია: ყოფილ საბჭოთა კავშირთან ტრადიციული ეკონომიკური კავშირები გვაქვს, მათი გაწყვეტა არ გამოგვადგებაო (თითქოს არ შეიძლებოდეს ეკონომიკური კავშირი ურთიერთდამოუკიდებელ ქვეყნებს შორის და თითქოს არ იცოდნენ, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური ურთიერთგადაჯაჭვა ხელოვნური მოვლენა იყო, მომავლის თვალსაზრისით სრულებით უპერსპექტივო), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ამ „გარეწრებულმა" კომუნისტებმა „ეროვნულ დამანგრეველი მოძრაობა" უწოდეს და ნგრევის მიზეზად ზემოხსენებულ კავშირთა გაწყვეტა დასახეს. მაგრამ ეს პოზიციაც ძნელი დასაცავი გახდა მას შემდეგ, რაც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმა განთავისუფლების შედეგად რეალური ეკონომიკური პროგრესი მოიპოვეს (ბალტიისპირეთი). ამიტომ ქართველმა (და მხოლოდ ქართველმა) „წითლებმა" უკანასკნელ საშუალებას მიმართეს: მათ თქვეს და დღესაც ამბობენ: დიახ, თავისუფალ ქვეყანასაც შეუძლია [illegible] ცხოვრება. მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ, ქართველები ვართ უვარგისნი, ამიტომ კვლავ რუსეთის გალიაში შევძვრეთ. განა წინა საუკუნეებშიც, სპარსეთი ან თურქეთი გვერჩის? არა, თვით ჩვენ ვართ მახინჯნი, უშრომელნი და ქურდ-ბაცაცები, ჩვენში ქუჩის წესრიგის დაცვაც კი მხოლოდ რუსის ჯარისკაცს შეუძლია, ჩვენი ნგრევის მიზეზი ისაა, რომ რამდენიმე წლით რუსეთთან კავშირი გავწყვიტეთ ანუ მისგან დამოუკიდებლად ჩვენი თავის მართვა მოვინდომეთ და ეს შეცდომა სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთო".

ასეთი იდეოლოგია ისტორიაში პირველი არაა, მაგრამ დღევანდელ ცივილიზებულ ეპოქაში იგი მაინც უნიკალურია. ამ ზომის გონებრივი სიმახინჯე დღეს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ბოგინობს. ხელოვნური შიმშილისგან სულმიხდილ საქართველოში (და მხოლოდ საქართველოში!) ეს სიმახინჯე დღეს სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშია აყვანილი და ხელისუფალნი ცდილობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იგი ხალხში გაავრცელონ. ეს იდეოლოგია რომ ქვეყნისა ან ხალხისა არაა და ვერ იქნება, არამედ მხოლოდ ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ მოქმედი ფენის იდეოლოგიაა, ეს შემდეგი მარტივი მოსაზრებით ხდება ნათელი: ყოველგვარი იდეოლოგიის არსი ისაა, რომ იგი თავის სუბიექტს (ანუ იმას, ვისი იდეოლოგიაც იგი არის) მისი დადებითი მხარეების მიხედვით სახავს, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, მას იმაზე უკეთესად წარმოიდგენს, ვიდრე იგი სინამდვილეშია. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც იდეოლოგია პასუხია კითხვებისა „რა ვარ მე?" (ან „რა ვართ ჩვენ?") და „რა გამართლება აქვს ჩემს არსებობას? (ან „რა გამართლება აქვს ჩვენს არსებობას?") და არავის შეუძლია ცხოვრება ისე, რომ თავისთავში მხოლოდ სიგლახე ხედავდეს. ზემოხსენებული იდეოლოგია, პირიქით, საქართველოს არარაობის იდეოლოგიაა.

ამგვარად, ამ იდეოლოგიის მატარებელნი არ აიგივებენ და ფსიქოლოგიურად შეუძლებელია, რომ აიგივებდნენ თავისთავს ქართველ ხალხთან და საქართველოსთან. მათი „ჩვენ" სხვაა, ვიდრე საქართველო. ეს გარედან მართული ადამიანები ფსიქიკურადაც (სულიერადაც), ცნობიერებისა თუ ქვეცნობიერების სიღრმისეულ დონეებზე, დანარჩენი ქართველი ხალხისა და დანარჩენი საქართველოსაგან გამიჯნულნი არიან.

გაგრძელება იქნება

# განცხადება

ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესები საფუძველს გვაძლევს, ვშიშობდეთ, რომ შესაძლებელია მოხდეს კონფლიქტთა იმგვარი გაღრმავება, რომლის შედეგადაც დაზარალდება არა მხოლოდ ინდივიდუალურ ადამიანთა უსაფრთხოება, არამედ კავკასიელ ხალხთა ეროვნული ინტერესებიც. ჩემი ქვეყნისათვის ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანია ორი მიზეზით. პირველი: ისევე, როგორც ყველა სხვა ერი, ჩვენი ერი დაინტერესებულია, რომ მის მეზობელ არეალში სიმშვიდე და ჰარმონია სუფევდეს. მეორე: ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ქართველ ხალხს აუარებელი ისტორიული, ეთნიკური და კულტურული ძაფები აკავშირებს და მისთვის განურჩეველი არაა ამ ხალხთა ბედი.

ჩემთვის ცნობილია პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა მთელი რიგის ტენდენცია, რომ აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ურთიერთობაში, რომელმაც ამ ბოლო ორ წელიწადში სისხლიანი კონფლიქტის ფორმა მიიღო, ჩრდილო კავკასიის ხალხებისა და რუსეთის ურთიერთობის ანალოგია დაინახონ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ კითხვათა იდენტური დასმა და მათი იდენტური გადაწყვეტა გვირჩიონ. მთელის კატეგორიულობით მინდა განვაცხადო, რომ ეს ანალოგია მხოლოდ ნაწილობრივია და არ სცილდება საბჭოთა კავშირისდროინდელი სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთგვარობის ფარგლებს მისგან გამომდინარე იურიდიული და ფაქტობრივი შედეგებითურთ. განსხვავება ისაა, რომ ჩრდილოეთი კავკასიის ხალხები და მათი მშობლიური ტერიტორიები რუსეთს ცეცხლითა და მახვილით ჰყავს დაპყრობილი XIX საუკუნეში, ქართველი ხალხი კი იმდენადვე ავტოხთონურია აფხაზეთში და იმდენადვე ნაწილია მისი მოსახლეობისა ისტორიამდელი ეპოქიდან 1992-1993 წლების გენოციდამდე, რამდენადაც აფსუა ხალხი, რომელსაც დღეს მსოფლიო „აფხაზების" სახელით იცნობს. უფრო მეტიც: არა მხოლოდ ისტორიული და არქეოლოგიური წყაროები, არა მხოლოდ შუა საუკუნეთა მატერიალური კულტურის ძეგლები წარწერებითურთ, რომელიც მთლიანად ქართულია, არამედ ის ფაქტიც, რომ აფხაზეთში სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ქართული იყო თვით ისეთ დროსაც კი, როცა (არაბულ დაპყრობათა შედეგად) სხვა ქართულენოვანი სახელმწიფო არ არსებობდა, იმას მოწმობს, რომ ამ ტერიტორიის მოსახლეობაში ქართული ელემენტი წამყვანი ყოფილა. ამგვარად, აფხაზეთში ჩატარებული პროცესი ქართველების ანუ აფხაზეთის მოსახლეობის 46 პროცენტის გენოციდისა და აფხაზეთის ტერიტორიის დექართველიზაციისა, რაც რუსეთის პირდაპირი სამხედრო დახმარებით ჩატარდა, ანალოგიურია არა იმ ომებისა, რასაც კავკასიელი ხალხები ეწეოდნენ თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად XIX საუკუნის კავკასიური ომის დროს, არამედ კავკასიელ ხალხთა ერთი ნაწილის დეპორტაციის იმ ბარბაროსული აქციისა, რაც საბჭოთა იმპერიამ ჩაატარა 1944 წელს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქართველთა წინააღმდეგ ჩატარებული აქცია ბევრად უფრო სისხლიანი იყო.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით, რათა იმ ავანტურისტი და კავკასიის მოღალატე პოლიტიკური ჯგუფების თავს ზემოთ, რომლებმაც ჩრდილო კავკასიელების ერთი ნაწილი წამოიყვანეს დანაშაულებრივ ომში საქართველოს წინააღმდეგ, და ყველა იმათ თავს ზემოთ, ვინც ჩრდილო კავკასიაში ძმათამკვლელ ანტიქართულ განწყობილებას ნერგავს, ქართველ პატრიოტთა სახელით მივმართო კავკასიელ ხალხებს და განვაცხადო შემდეგი: კავკასია — როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი, ანუ ამიერკავკასია — ერთი ისტორიული და კულტურული რეგიონია, უძველესი და ერთმანეთთან ათასწლობით დაახლოებული ერებით დასახლებული. კავკასიელ ერებს გვაქვს საერთო საარსებო ინტერესები, ადამიანური ღირსების საერთო დაუწერელი ნორმები და საერთო სიამაყე, რომელიც ამ ნორმებს და ჩვენს თავისუფლებისმოყვარეობას ემყარება. ჩვენი კულტურული და ზნეობრივი ერთობა უფრო ძლიერია, ვიდრე რელიგიის ან, მით უმეტეს, წამიერი პოლიტიკური ინტერესების განსხვავებულობა ჩვენ შორის. ჩვენს ურთიერთთანადგომას ცხოვრების ყველა სფეროში ვერ უნდა არღვევდეს გარედან ფაქტორთა ჩარევა. ჩვენი რეგიონი ევრაზიის ცენტრშია. მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, მისი ბუნებრივი რესურსები და მისი მოსახლე ადამიანების ნიჭი და უნარი განაპირობებს მის მომავალ საპატიო ადგილს კაცობრიობის ცხოვრებაში. ჩვენი წარმატებისა და გამარჯვების საფუძველია მტკიცე ერთობა და კავშირი ერთმანეთს შორის, ერთმანეთის თანადგომა და ერთობლივი ინტერესების ნათელი შეგნება.

რუსეთის ბნელი ძალების ყველაზე გამანადგურებელი გამარჯვება ჩვენს რეგიონზე ამ ბოლო ათწლეულთა მანძილზე იყო ის, რომ მათ შეძლეს კავკასიელთა ერთი ნაწილის წამოყვანა საქართველოს წინააღმდეგ საომრად აფხაზეთში 1992-1993 წლებში. ჩვენ კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დავსაჯოთ ის ადამიანები, რომელთაც ხელი გაურიეს ქართველი ხალხის გენოციდში, და დავსჯით კიდეც მათ. მაგრამ ისტორიის ეს ერთი ტრაგიკული ეპიზოდი ვერ განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. მას განსაზღვრავს ჩვენი ერთობლივი ბრძოლა ერთობლივი მიზნების მისაღწევად.

ნოდარ ნათაძე
10.VIII.94 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება

საქართველოში ანტირეფორმისტული ხელისუფლების თვისობრივი და სტრუქტურული ცვლილება კარგახანია ქვეყნისათვის უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მმართველი წრეები უამრავ დანაშაულებრივ შეცდომათა, სახელმწიფოს ეკონომიკური გაჩანაგების ფონზე მათთვის მატერიალურად უაღრესად მომგებიანი მდგომარეობისა თუ გუნდური-დემოკრატიული მმართველობისა და მათგან სწორი სახელმწიფო პოლიტიკური კურსის გატარების შეუძლებლობისა თუ არცოდნის გამო ყოველნაირად ცდილობენ არ დათმონ ყოველმხრივ დისკრედიტირებული ძალაუფლება.

მხოლოდ იმისათვის, რომ პარლამენტში არ განხილულიყო ხელისუფლების საკითხი, ჯერ ბოიკოტი გამოუცხადა კანონის ყველა ნორმის დაცვით 60-ზე მეტი დეპუტატის მოთხოვნით მოწვეულ საგანგებო სხდომას, ხოლო შემდეგ პარლამენტი ყოვლად უდროო არდადეგებზე იქნა გაშვებული. საბაბი ერთი გახლდათ: ამ საკითხის განხილვას ხელი არ შეეშალა აფხაზეთის თითქოსდა გადამრჩენი, სამშვიდობო ოპერაციისათვის. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ესოდენი ხელშეწყობის მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ე.წ. სამშვიდობო კურსმა აფხაზეთში ფიასკო განიცადა. როგორც იქნა გაისმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადებებში მოკრძალებული შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რომ სტრატეგიული და პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გალის ხეობის, აფხაზეთში ქართული იურისდიქციის უკანასკნელი პლაცდარმის, დათმობა არ შეიძლება. რუსეთის სამშვიდობო ძალები გალის რეგიონშიც კი ქართული მოსახლეობის ელემენტარულ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფენ. არის ფაქტები გალის რაიონში პოლიციის ფორმაში ახლადგამოწყობილ აფხაზ ბოევიკებთან ერთობლივად რუსეთის სამხედროთა მოქმედებებისა, მაშინ როდესაც ზუგდიდის რაიონში რუსეთის ძალები ეფექტურად ახორციელებენ დევნილთა თუ ადგილობრივი მოსახლეობის განიარაღებას. გაცილებით მკვეთრი პოლიტიკური განცხადებები საქართველოს ხელისუფლებას თანმიმდევრულად უნდა ეკეთებინა კონფლიქტის დაწყებისთანავე თუ არა, გაგრის ტრაგედიის შემდეგ მაინც, ქართველთა გენ ოციდისა და პირველი ფართომასშტაბიანი ეთნიკური წმენდის შემდგომ, რათა თავსმოხვეულ აგრესიულ სეპარატიზმთან დიპლომატიურ ბრძოლაში ქართული სახელმწიფო პირწმინდად არ დამარცხებულიყო. ამის გამო, უკვე ორი წელია ჩვენი ოფიციალური პოლიტიკური კურსი (არა მხოლოდ აფხაზეთთან მიმართებაში) სავსებით სამართლიანად იმსახურებს ეპითეტებს — უპრინციპო და კაპიტულანტური.

ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად კრიტიკულ მომენტში პარლამენტის პლენარული სხდომის იძულებითმა შეჩერებამ პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება ქუჩაში გადაიტანა. პერმანენტულად ტარდება ოპოზიციურ ძალთა ერთი ნაწილის მიტინგები სულ უფრო მზარდი რადიკალური მოთხოვნებით. ოც დღეზე მეტია შიმშილობს პარლამენტის წევრი ირაკლი წერეთელი, რომლის მოთხოვნათა თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილებით, (ვთქვათ რიგგარეშე სესიის მოწვევა და საპარლამენტო ოპოზიციისათვის კვირაში ერთსაათიანი სატელევიზიო ეთერის გამოყოფა) შეიძლება შეწყდეს ჩვენი ქვეყნის ისედაც შელახული დემოკრატიული იმიჯისათვის ერთობ უხერხული საპროტესტო აქცია.

28 ივლისს ტელევიზიის პირველი არხითა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრების ერთობლივი განცხადებით საზოგადოებრიობას ეუწყა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის ი.წერეთლის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში და რომ რესპუბლიკის პროკურატურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე პარლამენტის წევრი თ.ქორქოლიანი მხილებულია სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ამ განცხადებით კიდევ უფრო გაიზარდა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მხრიდან არსებული კანონმდებლობის დარღვევათა საკმაო გრძელი სია; პარლამენტის წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება მხოლოდ რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს აქვს, პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს მხოლოდ სასამართლო ადგენს და მანამდე კი პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ანუ მისთვის ოფიციალური ბრალდების წაყენება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ შეიძლება.

ამასთან ვაცხადებთ, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ჩადენილია სახელმწიფო თუ სისხლის სამართლის უმძიმეს დანაშაულთა უამრავი ფაქტი, რომლებსაც, რბილად რომ ვთქვათ, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მხრიდან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ ფონზე პარლამენტის ოპოზიციონერ დეპუტატთა მიმართ განხორციელებული აღნიშნული ქმედებანი აშკარად ტოვებს პოლიტიკური ანგარიშსწორების მცდელობის შთაბეჭდილებას.

მთელის პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მოჩვენებითი სტაბილიზაციის მიღმა უკიდურესად სახიფათოდ იზრდება პოლიტიკურ ძალთა ურთიერთდაპირისპირების მუხტი, რასაც პოლიტიკოსთა კეთილგონიერების უკმარისობის შემთხვევაში ჩვენი ყოველმხრივ დაუძლურებული ქვეყნისათვის დამანგრეველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია აფრთხილებს პარლამენტის თავმჯდომარეს შეწყდეს პოლიტიკურ ოპონენტთა მიმართ ძალისმიერი დაპირისპირების, როგორც პირადად მისთვის, ისე ქვეყნისათვის დამღუპველი პრაქტიკა. არა ურთიერთდაპირისპირებით, *არამედ ქვეყნის უზენაესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გონივრული კომპრომისებით, ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოვახერხოთ კარს მომდგარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფის თავიდან აცილება. დღეს უკვე აშკარაა, რომ ერთმა პიროვნებამ, უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტის მიუხედავად, ვერ შესძლო გამხდარიყო ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვის გარანტი.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია იმედს გამოთქვამს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ხელს შეუწყობს არსებული უმწვავესი პოლიტიკური კრიზისის საპარლამენტო გზით განმუხტვას და ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს მომენტში გამოიჩენს სათანადო პოლიტიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ მზადყოფნას, რამეთუ დიდწილად პირადად მასზე არის დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება უახლოეს ხანში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები.

თავის მხრივ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია აგრძელებს ინტენსიურ კონსულტაციებს პოლიტიკურ ძალებთან უმწვავესი სახელმწიფოებრივი კრიზისის ლეგიტიმური გზით დაძლევის მიზნით.

გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტიის
პოლიტიკური საბჭო

1994 წლის 1 აგვისტო

# გალის რაიონის ინვალიდთა ასოციაციის განცხადება

ზუგდიდში ფუნქციონირებას შეუდგა გალის ინვალიდთა ასოციაცია, რომელსაც ზუგდიდის რეგიონში ჩატარებული აქვს გარკვეული მუშაობა ლტოლვილ ინვალიდებთან.

ახლა აფხაზეთში სრულმასშტაბიანი სამშვიდობო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით, ასოციაცია მრავალათასიან ინვალიდთა სახელით მოგმართავთ თხოვნით: სამინისტროებს, უწყებებს, წარმოება-დაწესებულებებს, ბიზნესმენებს, ფირმებს, კომერციულ სტრუქტურებს, კერძო პირებს დაეხმაროთ ლტოლვილ ინვალიდებს, ბუნებისა და ჩვენი დროის უბედურებით გატანჯულ ადამიანებს რითაც შეგიძლიათ. საქმე ეხება ამ კატეგორიის ადამიანების არა მარტო სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ ბევრი მათგანის სიცოცხლის შენარჩუნებასაც.

ასოციაციას გახსნილი აქვს ანგარიშსწორების ანგარიში №700106 სავალუტო ანგარიში №700710 6, მფო 220103119, ქ.ზუგდიდის აგრომრეწვბანკში.

ჩვენი დროებითი მისამართია: ქ.ზუგდიდი; დავით აღმაშენებლის ქ. №35 პირველი სართული, ოთახი — 6.

ტელ. 2-51-57 გალის გამგეობა

წინასწარ გიხდით მადლობას ქველმოქმედებისა და დახმარებისათვის.

გალის ინვალიდთა ორგანიზაციის
თავმჯდომარე

ტიტიკო ჯახია

## ინფორმაცია

საქართველოში მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელობა შეხვდა ყოფილ ვიცე-პრემიერ რომან გოცირიძეს და ყოფილ ეკონომიკის მინისტრს მიხეილ ჯიბუტს.

შეხვედრა ატარებდა კონფედენციალურ ხასიათს და ეხებოდა საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის გზების ძიებას.

მუშაობას შეუდგა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეკონომიკური კომისია. სხდომებზე განიხილება და მუშავდება კომისიის ორგანიზაციული სტრუქტურა, ასევე, კანონპროექტები „ლიზინგის", „საკრედიტო მაღაზიის", „სასაქონლო ბირჟისა და საბირჟო ვაჭრობის" შესახებ. გაკეთდა ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის პროგრამის შესახებ.

ფრიდონ
ასლანიკაშვილი

## ომი

# ერთი წლის წინ

სოხუმის რაიონის სოფელი კამანი 11 თვე ბრძოლის ველად იყო ქცეული. ვაჟკაცები იძულებული იყვნენ ხელში იარაღი აეღოთ და დაეცვათ სოფლის მშვიდობიანი მოსახლეობა! უმწეო ბავშვები, გამწარებული ქალები, მოხუცები.

1993 წლის 5 ივლისი საბედისწერო აღმოჩნდა მათთვის. მტერმა სოფელი ალყაში მოაქცია. გაიმართა შემზარავი ბრძოლა, რომელმაც 5 სთ-დან 12 სთ-მდე გასტანა.

მტრის გამოცდილმა სპეც. რაზმელებმა სადარაჯოებზე ცოცხალი არავინ დატოვეს, შეიჭრნენ სოფლის შუა გულში და მიაღწიეს მთავარ „შტაბ-კორპუსამდე", სადაც 7 ვაჟკაცი ჯერ კიდევ იბრძოდა. იქ იყვნენ გვარდიის მეთაური ზაზა პავლიანი. მე-8 ბატალიონის III ასეულის დაზვერვის უფროსი ლეიტენანტი მალხაზ კახიანი, მისი მამა ვალოდია კახიანი, მზვერავები: თამაზ ჩხეტიანი, ნოდარ პავლიანი, შოთა კვანჭიანი, გენადი გარდანი.

ბიჭებს უკან არ დაუხევიათ, თავი არ დაუხრიათ უთანასწორო ომისათვის. ოთხი მებრძოლი ამბის მიმტანად გაგზავნეს. მალხაზი, ზაზა და თამაზი კი მტერთან საბოლოო შეტაკების შესახვედრად დარჩნენ. ვალოდია კახიანი სულ რაღაც 100 მ-ში დაეცა დაჭრილი, მძიმედ დაჭრილმა 5 დღე იცოცხლა. მოვლა პატრონობა დატყვევებულმა მეზობლის ქალებმა გაუწიეს, რომელთაგან ერთ–ერთი გამცემი გამოდგა. ღალატის მსხვერპლი მე-5 დღეს აფხაზებმა სახლიდან გაიყვანეს. ვალოდია კახიანის დახვრეტილი ცხედარი ტყეში იქნა ნაპოვნი თანასოფლელების მიერ. მოხუცებულმა ვალო ჩხეტიანმა და სერგო მუშკუდიანმა მიცვალებული მიწას მიაბარეს.

კამანის დამარცხების შემდეგ, სულ მალე დაეცა შრომა და სოხუმი.

უბედურებას, ბრძოლას, დაუნდობლობას ბოლო აღარ უჩანდა. მიცვალებულთა გაცვლა მხოლოდ 25 დღის შემდეგ მოხერხდა. ვაჟკაცების ცხედრები მაწარაკის კლუბიდან ფშაფის სასაფლაოზე იქნა დაასვენებული.

1993 წლის 5 ივლისის ბრძოლამ 18 ვაჟკაცის ღირსეული სიცოცხლე შეიწირა. მარტო კახიანების ოჯახმა 3 მიცვალებული დაიტირა. ძმები ავთანდილ, ვალოდია, მალხაზ კახიანები.

თეონა ჟორბენაძე

# Amico

## სააქციო საზოგადოება კორპორაცია «ამიკო»

აგრძელებს ანაბრების მიღებას, როგორც ორგანიზაციებისგან, ასევე კერძო პირებისაგან შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით 1 თვის ვადით დივიდენდების 20% დარიცხვით, 3 თვის ვადით ყოველთვიურად 25% დივიდენდის გაცემით, 3 თვის ბოლოს 80%

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. 45, მე-16 სართული

ტელ: 38-34-13
39-60-76
31-14-23

„AMIKO“ საიმედოობის მტკიცე გარანტიაა

სარეკლამო სააგენტო NB

## Ltd „იმერეთი“

იღებს სავალუტო ანაბრებს (ამერიკული დოლარი, რუსული რუბლი) თქვენთვის ხელსაყრელ პირობებში:

ამერიკული დოლარები:

1 თვით — 15 %

3 თვით — 60 % ყოველთვიური გატანით — 16%

6 თვით — 160% ყოველკვარტალური გატანით — 70%

1 წლით — 300% ყოველკვარტალური გატანით — 72%

რუსული მანეთები:

3 თვით — 78%

6 თვით — 240%

1 წლით — 600%

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 79, მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი, მეორე სართული, ოთახი 26,

ტელ.: 95-72—07.

ორგანიზაციას ესაჭიროება მდივან-მემანქანე

ტელ: 93-19—93


გახსენება

# თუ საწუთრომან დამამხოს

მართალი უთქვამთ: დიდებული ადამიანები ცხოვრებაში უძეგლოდ იკარგებიანო. წერილის დაწერა მასზე ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დავაპირე რამდენიმეჯერ, მაგრამ, ამაოდ. უჩვეულოდ თავმდაბალი და უპრეტენზიო ადამიანი იყო. უფლებას არ მაძლევდა, წერილი დამეწერა. კაცი საქმით ფასდება და არა სიტყვითო, ამით მაჩუმებდა. ჩრდილში იდგა და კეთილ საქმეს იქმოდა. ერიდებოდა თავისი სახელის გამომზეურებას. დღეს ეს ტაბუ უნდა დავარღვიო, მიზეზი საკმაოდ სერიოზულია — უკვე ერთი წელი ხდება, რაც შეწყდა ამ დიდებული ქართველი ვაჟკაცის გულის ფეთქვა, გულისა, რომელიც ზღვა ტკივილსა და სიხარულს იტევდა, ჯერ სხვისას და შემდეგ თავისას. შეწყდა სიცოცხლე, რომელიც უსაზღვროო მსხვერპლად იქნა გაღებული საქართველოსთვის, ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს მომავლისათვის.

გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე შევხვდით ერთმანეთს. საერთო საქმის გამო ჩვენ ხშირად გვიწევდა შეხვედრა. როდესაც დადგა წუთი, და მან ჩემში თანამოაზრეზე მეტი დაინახა, ურთიერთობა პირადულში გადაიზარდა, მე მინახავს იგი ბრძოლის ველზეც და მშვიდობიან ცხოვრებაშიც. ხშირად მაოცებდა, რადგან უშურველად შეეძლო სხვისთვის გახარებულიყო და ამის შესახებ ერთ სიტყვასაც კი არ იტყოდა. გახარებულიყო განურჩევლად ავისა და კარგისა. ამას იმით ხსნიდა, რომ ყოველ ადამიანში სიკეთის მარცვალს ეძებდა. ის იყო თავგამოდებული მებრძოლი ერთიანი საქართველოსთვის. ამის შესახებ, ალბათ, ისტორია თავის დროზე ყველაფერს იტყვის. ზაზა დუმბაძე ისტორიაში შევა, როგორც ჩვენი დროის ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნიჭიერი ორგანიზატორი და გამოცდილი მებრძოლი. მებრძოლი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა სამაჩაბლოს ბრძოლების მთელი სიმძიმე, სიცივე, ტალახი, შიმშილი, უიარაღობა და ზოგჯერ ბრძოლაში დამარცხებაც. მებრძოლი, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელ წელს საკუთარი ძალებით, თითქმის შიშველი ხელებით ჩამოაყალიბა გორმბორის მედესანტეთა ბატალიონი. დაიწყო ნულიდან და ალბათ, მხოლოდ თავისი ზეადამიანური ნებისყოფით თუ შეძლო, რომ რამდენიმე თვეში ბატალიონი ერთ-ერთ საუკეთესო სამხედრო ნაწილად ითვლებოდა იმხანად. სწორედ



ამიტომ, ზაზა დუმბაძე, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს დააკლდა, შემდეგ მის ოჯახსა და ნაცნობმეგობრებს. დააკლდა უწვერ-ულვაშო ჯარისკაცებს, რომლებიც დღესაც მის საფლავზე დადიან და ქედმოხრილნი მის სახელს იფიცებენ.

არ დამავიწყდება, ერთხელ სოხუმის მორიგი დაბომბვის შემდეგ (სამსახურებრივი მივლინებით ვიყავი იქ) როგორღაც სიმშვიდე ჩამოწვა. გვიანი ღამე იყო და ნერვებდაწეწილი ბიჭები ბალახზე ისევე მიწვნენ. ზოგს ჩაეძინა, ზოგი რაღაცას ოხუნჯობდა და სხვებს აცინებდა. ზაზა მომიბრუნდა და დაბალი ხმით მითხრა ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ:

— ძალიან გთხოვ, ამ ბიჭებისგან თუ რამე გეწყინოს, არ შეიმჩნიო. ესენი ყოველ წუთს სიკვდილს ჩასჩერებენ თვალებში და არ იციან, ხვალ ვისი ჯერი დადგება, რამენაირად გაუგე.

ბოლოს ძალიან გაუჭირდა მორალურად. ომის მსახვრალი ხელი ლომივით ბიჭებს აცლიდა გვერდიდან. ჯაფარა, დათო, გია და კიდევ ვინ მოთვლის. წასულთა მწკრივი უსასრულოა. ხშირად მიწევდა მათზე ნეკროლოგის წერა და უნებურად მაცრუნებდა ხოლმე, ვინაიდან ზაზას თვალებში უცნაური ნაპერწკალი კიაფობდა, სიცოცხლე თანდათან კარგავდა ელფერს. არც ერთი წუთით არ დამიშვია, მეფიქრა, რომ საფრთხე ზაზასაც ელოდა. მაგრამ საწუთრო ისე არ სჯის, როგორც ჩვენ გვსურს თურმე.

გასულ წელს, 4 აგვისტოს, როცა რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულება უკვე დადებული იყო და დიზავების შესახებ თითქმის ეჭვიც აღარ რჩებოდა, მოხდა ეს უბედურება. ამბავი. შეწყდა მისი დაუღალავი გულის ფეთქვა 34 წლის ასაკში. მე დღესაც სიზმარში მგონია თავი და ველოდები, როდის დამთავრდება ეს უცნაური ხილვა, რომ გამოვფხიზლდე და ისევ ჩემს გვერდით ვიგულო ეს დიდებული ადამიანი.

სასტიკი ყოფილა წუთისოფელი. რაც არ უნდა დიდი იყოს დანაკლისი, სიცოცხლე მაინც გრძელდება. წავიდა ჩემგან, მაგრამ დამიტოვა უდიდესი განძი და ტვირთიც იმავდროულად. წასვლის წინ დამიბარა:

— მე შეიძლება აღარ დავბრუნდე, მაგრამ გახსოვდეს, ჩემი სახელითა და გვარით გირეკავ შვილს. იცოდე ვაჟკაცი უნდა გაზარდო. არ შემარცხვინო.

მეტი არაფერი. წავიდა და წავიდა. დამშვიდობება არასოდეს იცოდა ომში წასვლის წინ, მეგობრულად ხელს აიქნევდა და თვალს ჩამიკრავდა ხოლმე. მაგრამ ბოლოს არც ხელი აუქნევია და არც თვალი ჩაუკრავს. იდგა და სინანულით თვალს ვერ გვაცილებდა მე და პატარა ზაზას, რომელიც ხელში მეჭირა. თითქოს რაღაცას იმახსოვრებდა. ალბათ, გრძნობდა, რომ დაბრუნება აღარ ეწერა. დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან-მეთქი. ძეგლის რა მოგახსენოთ, ზაზა დუმბაძის სახელი კი არ დაიკარგება და უკვდავი იქნება აწ და მარადის, სანამდის ქართველებში არ ჩაკვდება ჭეშმარიტი ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა და ბრძოლისუნარი, სანამ მის მიერ დაწყებულ საქმეს გამგრძელებელი ეყოლება და მის მიერ გაკვალულ ბილიკს ბალახი არ დაფარავს.

მარინა ტლაშაძე

# თენგიზ მუმლაძე



31 ივლისს წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც სამყაროს გამოაკლდა მართლაც მშვენიერ გულთბილი, მეგობრებისათვის, სამოსათვის თავგადადებული ვაჟკაცი, სამშობლოსათვის თავგანწირული მებრძოლი და კეთილი კაცი თენგიზ მუმლაძე.

როცა კი სამშობლოს დასჭირდა, თენგიზი ყოველთვის ფარად დაუდგა, სამაჩაბლოში თუ აფხაზეთში თავისი წილი სისხლი გაიღო, თავისი გასაკეთებელი გააკეთა და ის დიდი, კეთილშობილი გულიც, რომელიც ასე მძლავრად უცემდა მკერდში ამ ჭეშმარიტ მამულიშვილს, მეგობრებზე, სამოზე ოჯახზე გადაგებულ ვაჟკაცს, სამშობლოს უბედურებაზე ფიქრმა და დარდმა ჩაუფერფლა.

ვაგლახ, რომ აღარა ხარ ჩვენს გვერდით, ძმაო თენგიზ! ობლად, ფრთამოტეხილებივით დავდივართ შენი ძმაკაცები, მეგობრები, შენი სათაყვანებელი საძმოს წევრები, მაგრამ გვაცოცხლებს და გვაიმედებს ის აზრი, რომ შენს სურვილებს, შენს ოცნებებს ხორცი შეესხმება და შენი სათაყვანებელი სამშობლო მართლაც თავისუფალი, მართლაც აყვავებული იქნება და მის საძირკველში ერთი მოკრძალებული ქვა შენიც იქნება.

შენი საძმო


მთავარი რედაქტორის მოადგილე
სერგო ჯანაშია

სარედაქციო საბჭო
ნინო დანელია
ბელა ებანოიძე
ირმა ლომაური

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ: რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით სამხედრო კარტოგრაფიულ ფაბრიკაში.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 200 000 კუპონი